პროფესიულიგანათლება

N5(8)'22

www.vet.ge

ინფორმაცია პროფესიული განათლების შესახებ

www.vet.emis.ge

ინფორმაცია პროფესიული პროგრამების, მომზადება / გადამზადების პროგრამების შესახებ

www.mes.gov.ge

ინფორმაცია ავტორიზებული პროფესიული კოლეჯების შესახებ

www.eqe.ge

ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესახებ

შინაარსი

ნინო ელბაქიძე
2 რას ვიკვლევთ და რატომ ვიკვლევთ

პროფესიული განათლება
ბაია კვიციანი
3 პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის

ეთნიკური უმცირესობები და პროფესიული განათლება
ნინო მთვარელიძე
6 ეთნიკური უმცირესობების ჩართვა პროფესიულ განათლებაში

პროფესიული სტუდენტის ისტორია
9 ოლგა პოგოდინა

კვლევები პროფესიულ განათლებაში
ნატო ინგოროყვა
10 გაეროს ეგიდით დაფინანსებული კვლევები – დამსაქმებლის კმაყოფილების კვლევა

პროფესიული სტუდენტის ისტორია
16 ანა ელბაქიძე

პროფესიული განათლება
თამარ დვალი
17 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის პროფესიული პროგრამების განხორციელების შესახებ

კვლევები პროფესიულ განათლებაში
ნატო ინგოროყვა
20 გაეროს ეგიდით დაფინანსებული კვლევები – საზოგადოებრივი აზრის კვლევა პროფესიულ განათლებაზე

პროფესიული სტუდენტის ისტორია
24 რატი შეყილაძე

პრობლემა
ანი ქიტიაშვილი
25 პროფესიული განათლებიდან სტუდენტთა გადინების პრობლემა და რეკომენდაციები

პროფესიული სწავლება
შორენა ტყეშელაშვილი
28 სტუდენტთა ჩარიცხვები 2022-23 სასწავლო წლის პროფესიულ პროგრამებზე

პროფესიული სტუდენტის ისტორია
31 სანდრო დიდებაშვილი

საერთაშორისო გამოცდილება
ნინო ელბაქიძე
32 საერთაშორისო გამოცდილება: გერმანიის პროფესიული განათლების სისტემა

პროფესიული სტუდენტის ისტორია
37 თამარ მენთეშაშვილი

პროფესია
ნინო ბოკუჩავა
38 სილამაზისა და ესთეტიკის სპეციალისტთა განვითარება

პროფესიული სტუდენტის ისტორია
42 რეზი მუმლაძე

ნინო ელბაქიძე
რეკომენდაციები პროფესიის არჩევისთვის: 3 სწორი არჩევანისთვის ნაბიჯი

პროფესიულიგანათლება
N5(8)-22

ჟურნალი „პროფესიული განათლება“ გამოიცემა გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვეიცარიის მთავრობის ხელშეწყობით. გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ჟურნალის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს UNDP-სა და შვეიცარიის მთავრობის თვალსაზრისს.

მთავარი რედაქტორი
ნატალია ინგოროყვა

დიზაინერი
ბესიკ დანელია

სტილის რედაქტორი
ირმა ტაველიძე

ლოგოს დიზაინი
მარიამ ელიზბარაშვილი

სარედაქციო კოლეგია

ნინო ელბაქიძე – სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროფესიული განათლების პოლიტიკის სპეციალისტი

ნიკოლოზ მესხიშვილი – ფერმერთა ასოციაცია საგანმანათლებლო პროგრამების ოფიცერი

თამარ ქიტიაშვილი – უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორი

გიორგი ნანობაშვილი – გაეროს განვითარების ეკონომიკური გუნდის ხელმძღვანელი

თეა გულუა – გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ინოვაციების და ცოდნის მართვის სპეციალისტი

გიორგი პერტაია – სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი

გამოქვეყნებული მასალები არის ჟურნალ „პროფესიული განათლების“ ინტელექტუალური საკუთრება და ყველა უფლება დაცულია.

ნინო ელბაქიძე

რას ვიკვლევთ და რატომ ვიკვლევთ

კვლევები მეცნიერულ საქმიანობას უკავშირდება და იშვიათად ასოცირდება ხოლმე პროფესიულ განათლებასთან. არადა, რეფორმების გზაზე მდგარი პროფესიული განათლებისათვის კვლევები და მისი შედეგები უაღრესად მნიშვნელოვანია, რათა ვიცოდეთ, როგორ მიმდინარეობს დაგეგმილი აქტივობები, რას ფიქრობს კერძო სექტორი, რას ფიქრობს საზოგადოება, აღწევს თუ არა პროფესიული განათლება თავის უმთავრეს მიზანს: პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის წარმატებით დასრულებასა და ამის შემდგომ შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულის ინტეგრაციას.

გერმანიის პროფესიული განათლების ფედერალური ინსტიტუტი (BIBB), რომელიც ერთგვარად პროფესიული განათლების მექად არის მიჩნეული, მუდმივად ატარებს კვლევებს; წინა კვლევის შედეგებს ადარებს ახალს და დროთა განმავლობაში ისევ გეგმავს კვლევების ახალ თემებს, რომელთაც უთანხმებს განათლების სამინისტროების კომისიას (KMK). კვლევის შედეგების ანალიზი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია რეფორმების შეფასებისა და გადაფასებისათვის, ახალი პრიორიტეტების დასახვისათვის და სწორ რელსებზე დგომისათვის. შეიძლება ითქვას, რომ გერმანული პროფესიული განათლების წარმატების ერთ-ერთი ინდიკატორი სისტემურად და სისტემატურად დაგეგმილი და წარმართული კვლევებია.

2022 წლის მეორე ნახევარში რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი კვლევა გამოქვეყნდა საქართველოში. ორი დიდი კვლევა გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით ჩატარდა და ეს კვლევები საზოგადოებრივი აზრისა და დამსაქმებლების განწყობებს შეეხება. კიდევ ერთი საინტერესო და აქტუალური კვლევა, რომელიც ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელდა, შეეხება იმას, თუ რატომ წყვეტენ სწავლას პროფესიული სტუდენტები. ეს გამოწვევად რჩება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპის ქვეყნებშიც, თუმცა ჩვენი სტუდენტების მიერ სწავლის შეწყვეტას საკუთარი მიზეზები აქვს და ამ მიზეზების კვლევა საშუალებას მოგვცემს, რომ პროფესიული ორიენტაციის სერვისები უფრო ეფექტიანად დაიგეგმოს. ერთ-ერთი საინტერესო და ასევე აქტუალური თემა საქართველოში არაქართულენოვანი ახალგაზრდების ინტეგრაციას მიეძღვნა. კვლევა საქართველოს პარლამენტის განათლების კომიტეტის კოორდინაციით ჩატარდა.

წინამდებარე ნომერი ყველასთვისაა, ვისაც აინტერესებს პროფესიული განათლება და მისი კვლევა: ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის, მაგისტრანტებისთვის, განათლების მკვლევრებისთვის, პროფესიული კოლეჯების ხელმძღვანელებისთვის, მასწავლებლებისთვის, ახალგაზრდებისთვის, რომელთაც აინტერესებთ პროფესიული განათლება. ჩამოტვირთეთ, წაიკითხეთ ჟურნალის მერვე ნომერი და თქვენ უფრო მეტი გეცოდინებათ (პროფესიულ) განათლებაზე ხვალ, ვიდრე იცოდით დღეს!

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის

ჟურნალ „პროფესიულ განათლებას“, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის შესახებ არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის, ბაია კვიციანი, საქართველოს პარლამენტის, განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის წევრი ესაუბრება.

ქალბატონო ბაია, ცოტა ხნის წინ მნიშვნელოვანი კვლევის შედეგები შეჯამდა თქვენი ხელმძღვანელობით. კვლევა ეხება განათლების ხელმისაწვდომობას ეთნიკური უმცირესობებისთვის. გთხოვთ, გვითხრათ, რა ძირითადი ტენდენციები გამოიკვეთა და როგორია სტატისტიკა?

სახელმწიფო წლების მანძილზე ატარებს რეფორმებს, რომლებიც ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების თანაბარ და ეფექტიან ხელმისაწვდომობას განათლებაზე. პროგრამები ხორციელდება მთელი საქართველოს მასშტაბით, თუმცა მათი დიდი ნაწილი მიმართულია ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებზე. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი გამოწვევები რჩება ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და სახელმწიფო ენის სწავლების თვალსაზრისით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, 2022 წელს დღის წესრიგში დადგა მტკიცებულებებსა და ჩართულობაზე დაფუძნებული პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების საჭიროება. კომიტეტმა გადაწყვიტა, საკითხის შესწავლის მიზნით გამოეყენებინა თემატური მოკვლევის ინსტრუმენტი.

მოკვლევის მიზნად განისაზღვრა ეთნიკური უმცირესობებისთვის ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის პროცესში არსებული გამოწვევების, აგრეთვე სახელმწიფო ენის სწავლების მიმართულებით არსებული პრობლემების განსაზღვრა და გაანალიზება, გამოვლენილი გამოწვევების საპასუხო ქმედითი ნაბიჯების გადადგმის მიზნით კი, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება აღმასრულებელი ხელისუფლების მისამართით.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:

- სკოლამდელი განათლება;
- ზოგადი განათლება;
- პროფესიული და უმაღლესი განათლება;
- ზრდასრულთა განათლება;
- ენობრივი პოლიტიკა.

მოკვლევის შედეგად გამოიკვეთა სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებათა არასაკმარისი რაოდენობა, ეთნიკურ უმცირესობათა ენობრივ საჭიროებებზე მორგებული განათლების ნაკლებობა, აღმზრდელ-პედაგოგების რაოდენობის სიმცირე და მათი გადამზადების საჭიროება, აგრეთვე მიმდინარე პროცესებზე ადგილობრივ თემებში ინფორმაციის ნაკლებობა. ზოგადი განათლების კუთხით მიგნებას წარმოადგენდა სწავლების ხარისხის მიმართულებით განსხვავება უმცირესობათა და ქართულენოვან სკოლებს შორის, ასევე მასწავლებლებში სახელმწიფო ენის ფლობის დონის გაუმჯობესების საჭიროება, სასწავლო რესურსების ხარისხი და მათი რაოდენობა, ასევე ბილინგვური განათლების ნაკლებობა.

რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, ძირითადი ყურადღება გამახვილდა ე.წ. 1+4 პროგრამის გაუმჯობესების საჭიროებაზე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიერ რეგიონულ უნივერსიტეტებზე დაბალ მოთხოვნასა და ქართული ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის ფარგლებში მიღებული

ცოდნის არასაკმარის შესაბამისობაზე საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნებთან. სახელმწიფო ენის სწავლის თვალსაზრისით, უპირველეს ინსტიტუციად მიიჩნევა სკოლა, თუმცა მოკვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ყველა სკოლა ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ახერხებს მოსწავლეების საჭირო ენობრივი კომპეტენციებით აღჭურვას.

პროფესიული განათლება არის თუ არა მომხიბვლელი ეთნიკური უმცირესობების ახალგაზრდებისათვის და რა შესაძლებლობებია ამ თვალსაზრისით მათთვის?

მოკვლევაში მონაწილეობა მიიღეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებმაც. მოკვლევის ჯგუფი, გასვლითი შეხვედრების ფარგლებში, იმყოფებოდა მარნეულსა და ახალციხეში მდებარე კოლეჯებში. შეხვედრების, შემოსული დასაბუთებული მოსაზრებების, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაციისა და უკვე არსებული კვლევებიდან მეორადი მონაცემების გამოყენების საფუძველზე, პროფესიული განათლების მიმართულებით გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მორგების აუცილებლობა რეგიონის საჭიროებებთან და ეთნიკური უმცირესობების თემებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცნობადობის ნაკლებობა.

თვალსაჩინოა ასევე ის დადებითი ტენდენციები, რომლებიც აღინიშნება არაქართულენოვან პროფესიულ პროგრამებში მონაწილეობის კუთხით. მაგალითად, 2016 წლის საშემოდგომო მიღებაზე თხუთმეტმა პირმა ჩააბარა პროფესიული ტესტირება მშობლიურ ენაზე და ჩაირიცხა პროფესიულ პროგრამებზე, ხოლო 2017-2021 წლებში 1500-მდე აპლიკანტმა გამოთქვა პროფესიული ტესტირების/შერჩევის გავლის სურვილი. მათგან ჩაირიცხა 650-მდე პირი.

ასევე გამოიკვეთა, რომ პროფესიული განათლების პროგრამები არ არის სრულად ორიენტირებული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების საქმიანობის

მიმართულებებზე და არ არის საკმარისად მოქნილი ვადების, გეოგრაფიული მდებარეობის და კონკრეტული ცოდნის შეძენის კუთხით. აგრეთვე, მიუხედავად იმისა, რომ სწავლის პროცესში პროფესიული განათლების სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სახელმწიფო ენის კომპეტენციების გაუმჯობესებისკენ მიმართული პროგრამები, ის საბაზისო დონე, რომლითაც სტუდენტები ირიცხებიან, არ არის საკმარისი ხანმოკლე პერიოდში ენის ფლობის იმდენად გაუმჯობესებისათვის, რომ სტუდენტმა სრულფასოვნად შეძლოს პროგრამის აქტივობებში ჩართულობა.

რას გეგმავს სახელმწიფო პროფესიულ განათლებაში არაქართულენოვანი მოსახლეობის უფრო აქტიურად ჩართვისათვის?

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეთნიკურ უმცირესობათა პროფესიულ განათლებაზე წვდომის გასაუმჯობესებლად შენდება ახალი კოლეჯები და ვითარდება არსებული დაწესებულებები.

ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ხარისხიანი განათლების მიღების მიზნით, დაიწყო მუშაობა ახალ მიდგომაზე, რომელიც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის შეთავაზებას. აღნიშნული მიდგომის ამოქმედების შემდეგ პროფესიული განათლების სისტემა უზრუნველყოფს ქართული ენის შემსწავლელი პროგრამის შეთავაზებას, რაც არაქართულენოვანი მსურველებისათვის, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, შექმნის შესაძლებლობას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხონ. 2022-2024 წლებში საკვანძო აქტივობებია დაგეგმილი სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამის განსახორციელებლად. პროგრამა პირველ ეტაპზე დაინერგება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

მოკვლევის ფარგლებში, შესაბამისი უწყებების მისამართით გაიცა რეკომენდაციები, მათ შორის პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებითაც.

ამ კუთხით მნიშვნელოვანი რეკომენდაციებია:

- პროფესიული განათლების პოპულარიზაცია მისი ხელმისაწვდომობის და ჩარიცხვის გზების მოქნილობის გაზრდით;
- მოთხოვნადი პროფესიული განათლების მიმართულებების განსაზღვრა და შესაბამისი პროგრამების შემუშავება ან არსებულის მოდიფიცირება;
- რეგიონულ დონეზე პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა პროფესიულ დაწესებულებათა კოორდინაციული ქსელისა და შესაბამისად, გეოგრაფიული დაფარვის გაზრდის საშუალებით;
- ქართული ენის პროგრამების გაძლიერება პროფესიული განათლების პროვაიდერების ბაზაზე, საკუთარი თუ გარე რესურსების გამოყენებით.

თითოეული რეკომენდაციისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი ადრესატი და შესრულების ვადა.

კვლევის ბმული:
https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/tematuri-mokvleva/ganatleba/etnikuri/etnikuri-umciresoba-angarishi.pdf?fbclid=IwAR0zGRmuyqLs4zgkHrQ3-FQj2UJfHWMa_ZUeKPCXTG3Qm7K65i11f_H7Q8k

ეთნიკური უმცირესობების ჩართვა პროფესიულ განათლებაში

რუსთავის კოლეჯის ერთი პროექტის შესახებ

ნინო მთვარელიძე

*სსიპ კოლეჯ „მოდუსის“
მარნეულის მენეჯერი*

ქვემო ქართლი გამოირჩევა ლინგვისტური და ეთნიკური მრავალფეროვნებით, სადაც საუკუნეებია, ჰარმონიულად თანაარსებობენ ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. სახელმწიფო მუდმივად ზრუნავს მათ განათლებაზე, რაც გამოიხატება სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობითა და იქ მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესებით. ამას დაემატა პროფესიული განათლების მიმართულების განვითარებაც. 2021 წლის აპრილში სსიპ კოლეჯმა „მოდუსმა“, რომელსაც მრავალწლიანი მოღვაწეობის ისტორია აქვს რუსთავში, გააფართოვა საგანმანათლებლო არეალი და სასწავლო ბაზა დააარსა მარნეულში. აღსანიშნავია, რომ „მოდუსი“ ერთადერთი სახელმწიფო პროფესიული სასწავლებელია ქვემო ქართლში, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად კვალიფიციური კადრების მომზადება-გადამზადებას.

მარნეულში სახელმწიფო კოლეჯის დაარსება მოსახლეობის მოთხოვნამ და ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებებმა განაპირობა. თავიდანვე განისაზღვრა, რომ კოლეჯს უნდა განეხორციელებინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები როგორც მომსახურების სფეროს, ასევე სოფლის მეურნეობის მიმართულებით. გარდა ამისა, კოლეჯი ქვემო ქართლში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს სთავაზობს სახელმწიფო ენის შესწავლის სერვისს და ერთგვარ „საშეღავათო პოლიტიკას“, რაც გამოიხატება საგამოცდო ენად მშობლიური ენის არჩევის შესაძლებლობაში.

ტერიტორიული მდებარეობის გამო, კოლეჯ „მოდუსისა“ და მისი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციას მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებლები ნაკლებად ფლობდნენ. შესაბამისად, კოლეჯმა სამოქმედო გეგმაში მთავარ პრიორიტეტად განსაზღვრა მოსახლეობის ინფორმირება. აღნიშნული გეგმის მისაღწევად პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უმასპინძლა მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებულ ყველა საჯარო სკოლას, მოაწყო ვიზიტები სხვადასხვა დაწესებულებაში და განახორციელა

აზერბაიჯანელ ახალგაზრდებთან შეხვედრა

მრავალფეროვანი აქტივობები. მათ შორის უნდა გამოვყოთ გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილი და დაფინანსებული პროექტი „ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობა პროფესიული განათლების მეშვეობით“. პროექტის მიზანი იყო პროფესიული განათლების სახელმწიფო და კერძო სერვისებისა და პროგრამების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა მარნეულის მუნიციპალიტეტში, რაც, ამავდროულად, ეხმარებოდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ინტეგრაციის პროცესში.

პროექტმა ხელი შეუწყო მარნეულში არსებული სახელმწიფო და კერძო კოლეჯების გაცნობა-დაახლოებას, წახალისდა საერთო საქმის კეთების პრაქტიკა. აღსანიშნავია ადგილობრივი თვითმმართველობის, სათემო ცენტრების მხარდაჭერა და ჩართულობა, რაც გამოიხატა პროექტის ფარგლებში ჩატარებული შეხვედრების დაგეგმვითა და ორგანიზებით შვიდ სათემო ცენტრში, ალგეთის და სადახლოს ადმინისტრაციულ ერთეულებში. ეს თანამშრომლობა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, თუ რამდენად ჰოლისტურია პროფესიული განათლება და რამდენად მნიშვნელოვანია მისი განვითარებისთვის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა.

შეხვედრებზე ყველა კოლეჯის წარმომადგენელს ჰქონდა საშუალება, მოსახლეობისთვის როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად გაეწია საინფორმაციო მომსახურება, წარედგინა საკუთარი კოლეჯი და პროგრამები. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული შეხვედრებისთვის სპეციალურად შევარჩიეთ ქალაქისგან დაშორებული სოფლები, სადაც ჯერ კიდევ პრობლემად რჩება სახელმწიფო ენის ცოდნის საკითხი. ასევე, მოვაწყვეთ ექსკურსიები სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, რათა საკუთარი თვალით ენახათ კოლეჯები და იქ არსებული შესაძლებლობები. აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში შეიქმნა და დაიბეჭდა ბროშურები ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე, სადაც ერთად იყო თავმოყრილი ქვემო ქართლში არსებული ყველა პროფესიული სასწავლებელი და მათი პროგრამები. ასევე, შეხვედრებზე უზრუნველყოფილი იყო თარგმანი მონაწილეთა მშობლიურ ენაზე, რათა მაქსიმალურად ხელმისაწვდომი ყოფილიყო მათთვის პროფესიული განათლების შესახებ ინფორმაცია. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში ჩატარდა მცირე მოკვლევა, რომლის შედეგად კოლეჯებისთვის ცნობილი გახდა ინფორმაცია პოპულარული პროფესიების შესახებ.

პროექტის განხორციელებით ხელი შეეწყო მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა ცნობიერების ამაღლებას პროფესიულ განათლებასთან, პროფესიულ სასწავლებლებსა და მათ პროგრამებთან დაკავშირებით. საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა სახელმწიფო და კერძო პროფესიული განათლების სერვისები და პროგრამები. ქვემო ქართლის კოლეჯებში 2021 წლის ზაფხულში დარეგისტრირებული იყო 864 სწავლის მსურველი, ხოლო 2022 წლის რეგისტრაციის ეტაპზე, საერთო ჯამში, დარეგისტრირდა 1463 აპლიკანტი. პროფესიული განათლება გახდა კონკურენტუნარიანი, მაგალითად, კოლეჯ „მოდუსის“ მარნეულის

სასწავლო ბაზაზე, ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროგრამაზე გამოცხადებული იყო მიღება 9 თავისუფალ ადგილზე, ხოლო რეგისტრირებული იყო 112 აპლიკანტი. მებოსტნეობის პროგრამაზე გვქონდა 13 ადგილი, ხოლო რეგისტრირებული იყო 37 სწავლის მსურველი. მარნეულში არსებულ კოლეჯებში თითქმის ყველა პროფესიულ პროგრამაზე შეივსო თავისუფალი ადგილები. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ამ პროცესებში უდიდესი როლი შეასრულა აღნიშნულმა ფართომასშტაბიანმა აქტივობებმა.

პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა მოკვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობაში ჯერ კიდევ ნაკლები პოპულარობით სარგებლობს პროფესიული განათლება. სამომავლოდ მარნეულის მუნიციპალიტეტში და მის სოფლებში პროფესიული განათლების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად იმაზე მეტი ადამიანის ჩართვა იქნება საჭირო, ვიდრე ეს პროექტით იყო გათვალისწინებული. საჭიროა რესურსცენტრების, სკოლის დირექტორების, სოფლების რწმუნებულების, ბიზნესსექტორის უფრო აქტიური მხარდაჭერა და ჩართულობა. ვგეგმავთ მარნეულის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარებას. ვეძებთ არასამთავრობო სექტორში ორგანიზაციებს, რომლებთან თანამშრომლობითაც სკოლამდელი და სკოლის ასაკის მოსწავლეებისთვის მოვამზადებთ ბროშურებს პროფესიების შესახებ. გვსურს, მათთან თანამშრომლობით მარნეულის მუნიციპალიტეტში ჩავატაროთ შრომის ბაზრის დეტალური მოკვლევა, რომელიც იქნება საფუძველი პროფესიული პროგრამების გამრავალფეროვნებისა სხვადასხვა კოლეჯში. გარდა ამისა, მოკვლევის შედეგად გამოიკვეთება ის საჭირო პროფესიები, რომლებსაც ვერცერთი კოლეჯი ვერ სთავაზობს მოსახლეობას.

მნიშვნელოვანია მსურველთათვის მოკლევადიანი პროგრამების მრავალფეროვანი არჩევანის შეთავაზებაც. შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მარნეულის დიდ სოფლებში, რომლებიც დიდი მანძილით არიან დაშორებულნი სახელმწიფო კოლეჯს, პროფესიული განათლების ცენტრების დაარსება აუცილებელია, მაგალითად, სოფელ სადახლოში. სასურველია, სკოლების ბაზაზე ჩამოყალიბდეს პროფესიული განათლების მინიცენტრები/კუთხეები, სადაც მოსწავლეები შეძლებენ პროფესიული უნარების შეძენასა და განვითარებას. ამ ეტაპზე კი ჩვენმა კოლეჯმა რუსთავში დაიწყო და მარნეულშიც გეგმავს, სკოლებთან თანამშრომლობის საფუძველზე, პროფესიული განათლების პროგრამები განახორციელოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საბაზო განათლების საფეხურზე. ეს კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება პროფესიული განათლების პოპულარიზებისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის.

აზერბაიჯანელ ახალგაზრდებთან შეხვედრა



ოლოლა პოპოლინა

საქართველოს ბიზნესის აკადემიაში (SBA) ჩავაბარე 2020 წელს. ვსწავლობდი ფარმაციის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სადაც თბილი გარემო და საოცარი ლექტორები დაგვხვდნენ. მათი დამსახურებით შევძელი თვითგანვითარება. აკადემიამ ძალიან დიდი როლი ითამაშა ჩემი მიზნების ჩამოყალიბებასა და მათ რეალიზებაში. მომცა ცოდნა, მოტივაცია და გამოცდილება, რომ ჩემი ძალები მომესინჯა ფარმაცევტის პროფესიაში.

სწავლის პერიოდშივე ვესწრებოდი სხვადასხვა ტრენინგს. ასევე, სასწავლო პროგრამა ითვალისწინებდა პრაქტიკული კომპონენტის გავლას პარტნიორ ორგანიზაცია „პსპ ფარმაში“, რამაც ხელი შემიწყო პროფესიული უნარების გამომუშავებაში.

საქართველოს ბიზნესის აკადემიის რეკომენდაციითა და დამსაქმებლის გადაწყვეტილებით, მუშაობა დავიწყე „პსპ ფარმაში“. უკვე ერთი წელია, რაც PSP-ს დიდ ოჯახში მიმიღეს და მას შემდეგ ყოველდღე ვზრუნავ ადამიანებზე.

მიხარია, რომ მაქვს შესაძლებლობა, ვაკეთო საყვარელი საქმე, ჩემი პროფესიითა და ცოდნით, PSP-თან ერთად, დავეხმარო ადამიანებს. მადლობა SBA-ს და მის საოცარ ლექტორებს გაწეული შრომისთვის, თითოეული ჩვენგანის მხარში დგომისთვის.

მიხარია, რომ ჩემი ცხოვრებისა და განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი სწორედ საქართველოს ბიზნესის აკადემიას დავუკავშირე. აკადემიაში შექმნილი კეთილგანწყობილი გარემო, საუკეთესო ინფრასტრუქტურა და კომპეტენტური სამუშაო გუნდი ხელს გვიწყობდა თითოეულ სტუდენტს განვითარებაში.

პროფესიული განათლებით დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა

ნატო ინგოროყვა

გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, უნარების სააგენტოს მიერ ორი მნიშვნელოვანი კვლევა განხორციელდა პროფესიული განათლების მიმართულებით.

კვლევების თემატიკა უკავშირდება პროფესიული განათლებისადმი საზოგადოების დამოკიდებულებას, ასევე დამსაქმებლების ცნობიერების ამაღლებასა და ახალგაზრდების ინფორმირებულობას.

საქართველოში ახალგაზრდების მხოლოდ 5 % ია ჩართული პროფესიულ განათლებაში, მაშინ როდესაც ევროპის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 45%-ს აჭარბებს, ხოლო ახალგაზრდების უმუშევრობის მაჩვენებელი ევროპაში, მაგალითად, გერმანიაში 4 % ზე ოდნავ მეტია, ხოლო საქართველოში ახალგაზრდების 30%-ზე მეტი დაუსაქმებელია. ეს მონაცემები პირდაპირ აჩვენებს, რა კავშირია პროფესიულ განათლებასა და ახალგაზრდების დასაქმებას შორის. პროფესიული განათლება ყველაზე ახლოს დგას ეკონომიკის განვითარებასთან და ადამიანების კეთილდღეობასთან. განათლების ამ ფორმას დღესაც არ აქვს ისეთი პრესტიჟი ჩვენს ქვეყანაში, როგორიც მას ევროპის ქვეყნებში აქვს. შესაბამისად, აუცილებელია, რომ ვიცოდეთ, რას ფიქრობს საზოგადოება, ახალგაზრდები, მშობლები და რა აზრისაა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოკავშირე – დამსაქმებელი.

კვლევები პერიოდულად ხორციელდება და ჩვენ საშუალება გვაქვს, რომ დავაკვირდეთ დინამიკაში იმ სასიკეთო ცვლილებებს, რომლებიც დროთა განმავლობაში იკვეთება. პროფესიული განათლების განვითარებას არ აქვს მყისიერი ეფექტი, მაგრამ ის მზარდად დადებით შედეგებს აჩვენებს და ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტენდენცია დადებითი ცვლილებებისკენ უკვე სახეზეა. 2022 წელს უპრეცენდენტო რაოდენობა ჩაირიცხა პროფესიულ პროგრამებზე, და 13 ათასზე მეტი ახალგაზრდა პროფესიული პროგრამების სტუდენტი გახდა.

ელენე ცხაკაია

ელენე ცხაკაია
გაეროს განვითარების პროექტის მენეჯერი



პროფესიული უნარების საგენტო, რომელიც 2021 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და სავაჭრო-სამრეწველო პალატამ ერთობლივად დააფუძნეს, მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული პროგრამების დანერგვას, ინოვაციური სწავლების მხარდაჭერას, კონკურენციის გაუმჯობესებას და უკეთესი დასაქმების შესაძლებლობებს. სააგენტოს მიზანია, საჯარო და კერძო პარტნიორობის, ასევე ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის მყარი საფუძველი შექმნას ქვეყანაში.

სწორედ ამ მიზნით, სააგენტოს მიერ დაიგეგმა დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა, რომლის ფარგლებშიც გამოვლინდა დამსაქმებელთა საჭიროებები, ინტერესები და დამოკიდებულებები პროფესიული განათლებისა და პროგრამებისადმი. კვლევის შედეგები სააგენტოს სამომავლო სტრატეგიისა და საქმიანობის დასაგეგმად იქნება გამოყენებული, რამაც ხელი უნდა შეუწყოს პროფესიული განათლების შემდგომ განვითარებას.

ორგანიზაციის მახასიათებლები

- კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების დიდი ნაწილი 8 და მეტი წელია ოპერირებს *(არ თანამშრომლობს პსდ-ებთან, ე.წ. არაპარტნიორი ორგანიზაციები – 47%, თანამშრომლობს პსდ-ებთან, ე.წ. პარტნიორი ორგანიზაციები – 69%)*.
- **სექტორის** მიხედვით, ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა როგორც *პსდ-ების არაპარტნიორ (97%)*, ასევე *პარტნიორ (78%)* დამსაქმებელთა შორის კერძო სექტორს წარმოადგენს. **ზომის** მიხედვით კი, კვლევაში მონაწილე დამსაქმებელთა დიდი უმრავლესობა მცირე საწარმოა (არაპარტნიორი ორგანიზაციები – 97%; პარტნიორი ორგანიზაციები – 63%).
- *არაპარტნიორი ორგანიზაციების* **საქმიანობის ძირითადი სფერო** მშენებლობას, სამშენებლო რემონტს, მონტაჟსა და შეკეთებას (24%), *პარტნიორი ორგანიზაციებისა* კი – სოფლის მეურნეობას (13%), პერსონალურ მომსახურებას (13%) და განათლებასა და ტრენინგებს (12%) უკავშირდება.
- **თანამშრომელთა ტიპის** მიხედვით, კვლევის მონაწილე დამსაქმებლებს, მუდმივ თანამშრომლებთან ერთად, ჰყავთ სეზონური/დროებითი თანამშრომლებიც. სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლებთან ერთად, ორგანიზაციათა მცირე ნაწილს ასევე ჰყავს ნახევარ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლები როგორც *არაპარტნიორ*, ასევე *პარტნიორ* ორგანიზაციებში (შესაბამისად, 17%-17%).

საკადრო პოლიტიკა

- **განათლების მიღწეული დონის** მიხედვით, *არაპარტნიორ ორგანიზაციებში* პროფესიული განათლებით თანამშრომლები ჰყავს ორგანიზაციათა ნახევარს (53%), *პარტნიორ ორგანიზაციებში* კი – დიდ უმრავლესობას (86%).
- დამსაქმებლები ორივე ჯგუფიდან მიიჩნევენ, რომ პროფესიული განათლების მქონე კადრები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ორგანიზაციის საქმიანობაში *(არაპარტნიორი ორგანიზაციები – 88%, პარტნიორი ორგანიზაციები – 87%)*.
- ბოლო 3 წლის გათვალისწინებით, **თანამშრომლები პროფესიული განათლებით** არ ჰყოლია *არაპარტნიორი ორგანიზაციების*

43% და *პარტნიორი ორგანიზაციების* 10%-ს. ორივე ჯგუფში აღნიშნულის მთავარი მიზეზი ამგვარი კადრის *საჭიროების არარსებობაა*. ამასთან, პარტნიორი ორგანიზაციების 26%-ის შეფასებით, მიზეზი *ადგილზე პროფესიული კადრების სიმწირეა*.

- ასევე ბოლო 3 წლის გათვალისწინებით, არ ჰქონია/არ აქვს ვაკანსიები, რომლებიც მოითხოვს პროფესიულ განათლებას არაპარტნიორი ორგანიზაციების 65%-ს და ამის მთავარი მიზეზი შესაბამისი კადრის საჭიროების არარსებობაა (92%). *პარტნიორი ორგანიზაციების* შემთხვევაში კი, 62%-ს ჰქონია ვაკანსია, რომელიც პროფესიულ განათლებას მოითხოვს.
- პროფესიული განათლების მქონე კადრების ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა **მოტივაცია, პროფესიის შესაბამისი თეორიული ცოდნა თუ პრაქტიკული უნარები** და **შრომის ეთიკა** მეტ-ნაკლებად პრობლემურად ფასდება. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ ყველა ამ მახასიათებელს უფრო პრობლემურად მიიჩნევენ პსდ-ების *პარტნიორი ორგანიზაციები*. ის, რომ მოტივაცია ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა პროფესიული კადრების შემთხვევაში, დადასტურდა თვისებრივი კვლევის შედეგებითაც.
- **სხვადასხვა კომპეტენციას** შორის აღმოჩნდა, რომ *არაპარტნიორი ორგანიზაციები* პროფესიული განათლების მქონე თანამშრომლებისთვის ყველაზე სერიოზულ გამოწვევად *უცხო ენის ცოდნასთან* დაკავშირებული კომპეტენციების ფლობას მიიჩნევენ (2.8 ქულა მაქსიმალური 5-დან). *პარტნიორი ორგანიზაციების* შემთხვევაში კი, *უცხო ენასთან* ერთად (3.1 ქულა), შედარებით სერიოზული გამოწვევები ასევე უკავშირდება კოგნიტურ უნარებს – *მათემატიკას, ციფრულ ტექნოლოგიებსა* და *თვითმართვას* (თითოეული 2.7 ქულით ფასდება).

პერსონალის რეკრუტირების მზები

- **კვალიფიციური პერსონალის რეკრუტირების** ყველაზე გავრცელებულ მექანიზმს *არაპარტნიორი ორგანიზაციებისთვის* სოციალური კაპიტალი (75%) წარმოადგენს. გამოიკვეთა, რომ მას ყველაზე მეტად იყენებენ *მცირე საწარმოები* (76%), თუმცა ის არც *საშუალო* (54%) და *მსხვილი* (40%) ორგანიზაციებისთვისაა უმნიშვნელო. *პარტნიორი ორგანიზაციების* შემთხვევაში კი, კვალიფიციური პერსონალის რეკრუტირება უმეტესად ხდება *პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთობისა* (49%) და *ახლობლების/პირადი კონტაქტების* (42%) გამოყენების გზით.
- თანამშრომლის სამსახურში აყვანის ორ **მთავარ კრიტერიუმს** *არაპარტნიორი ორგანიზაციებისთვის* შესაბამისი გამოცდილება (54%) და ადგილზე გავლილი პრაქტიკა/სამუშაო გარემოში გამოცდა/სტაჟირება (36%) წარმოადგენს. *პარტნიორი ორგანიზაციების* შემთხვევაში კი ეს კრიტერიუმებია შესაბამისი გამოცდილება (62%) და შესაბამისი განათლება (51%). საგულისხმოა თვისებრივი კვლევის შედეგები, რომლის თანახმადაც, შრომის ბაზარზე კადრების იმდენად სერიოზული დეფიციტია, რომ უბრალოდ მუშაობის სურვილი და ვაკანსიაზე გამოხმაურებაც ხშირად კადრის აყვანის საკმარისი საფუძველია. ცხადია, აღნიშნული არ ეხება მენეჯერულ პოზიციებსა და კვალიფიკაციებს, რომლებიც მნიშვნელოვან გამოცდილებასა და სერიოზულ თეორიულ ცოდნას გულისხმობს.

პროფესიული განათლების მიმართ დამოკიდებულება

- დამსაქმებლები მიიჩნევენ, რომ პროფესიული განათლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს **ქვეყანაში უმუშევრობის დონის შესამცირებლად** *(არაპარტნიორი ორგანიზაციები – 70%, პარტნიორი ორგანიზაციები – 75%)* და **აძლიერებს ქვეყნის ეკონომიკას** *(არაპარტნიორი ორგანიზაციები – 79%, პარტნიორი ორგანიზაციები – 77%)*.
- პროფესიული განათლება აღქმულია, როგორც **პროფესიის სწრაფად დაუფლებისა** *(არაპარტნიორი ორგანიზაციები – 80%, პარტნიორი ორგანიზაციები – 84%)* და **სწრაფად დასაქმების** *(არაპარტნიორი ორგანიზაციები – 66%, პარტნიორი ორგანიზაციები – 68%)* გზა.
- დამსაქმებელთა შეფასებების თანახმად, პროფესიული განათლება მეტ-ნაკლებად პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. მართალია, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ **პსდ-ებში ისწავლება ისეთი პროფესიები, რომლებზეც მოთხოვნაა შრომის ბაზარზე/დამსაქმებლების მხრიდან** *(არაპარტნიორი ორგანიზაციები – 60%, პარტნიორი ორგანიზაციები – 75%)* და რომ **პროფესიული განათლება საშუალებას აძლევს სტუდენტს, შეიძინოს ის უნარები, რომლებიც მნიშვნელოვანია დამსაქმებლისთვის** *(არაპარტნიორი ორგანიზაციები – 78%, პარტნიორი ორგანიზაციები – 80%)*, თუმცა ამ შესაძლებლობის არსებობა აუცილებლად არ გულისხმობა იმას, რომ **საქართველოს პსდ-ების კურსდამთავრებულებს აქვთ შრომის ბაზრის/დამსაქმებელთა მოთხოვნის შესაბამისი უნარები** *(არაპარტნიორი ორგანიზაციები – 34%, პარტნიორი ორგანიზაციები - 43%)*. თვისებრივი კვლევის შედეგებს თუ გავითვალისწინებთ, განსაკუთრებული გამოწვევაა ე.წ.

რბილი უნარების ფლობა, ასევე არასაკმარისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარების თვალსაზრისით არსებული გამოწვევები.

- რაოდენობრივი კვლევის შედეგების თანახმად, პროფესიული განათლება აღქმულია **საშუალო ხარისხის** განათლებად, რომელიც **ნაკლებად უზრუნველყოფს თვითრეალიზებას**. თუ თვისებრივი კვლევის შედეგებს გავითვალისწინებთ, პროფესიული განათლების, როგორც ნაკლებად ხარისხიანის აღქმა სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს უკავშირდება, რომლის თანახმადაც პროფესიულ განათლებას ნაკლები ინტელექტუალური რესურსის მქონე ადამიანები ირჩევენ ფინანსურ კაპიტალზე შეზღუდული ხელმისაწვდომობით. სწორედ ამგვარი დამოკიდებულების გამო, პროფესიული განათლება ნაკლებად პრესტიჟულია და, დამსაქმებელთა აზრით, მას მოტივირებული, განვითარებაზე ორიენტირებული ადამიანები ნაკლებად ირჩევენ. სწორედ ამიტომ აცხადებენ ისინი უმაღლეს განათლებას საკვალიფიკაციო მოთხოვნად იმ პოზიციებზეც, სადაც ამის აუცილებლობა არ არის. ამასთან, თვისებრივი კვლევის მონაწილეთა შეფასებით, კურსდამთავრებულთა შესაბამისი მოტივაციისა და საკუთარ თავზე მუშაობის პირობებში, თვითრეალიზება სავსებით შესაძლებელია.
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა აღქმულია ხელმისაწვდომად როგორც **ფინანსური** *(არაპარტნიორი ორგანიზაციები – 53%, პარტნიორი ორგანიზაციები – 82%)*, ასევე **გეოგრაფიული** *(არაპარტნიორი ორგანიზაციები – 41%, პარტნიორი ორგანიზაციები – 70%)* თვალსაზრისით. აქვე ცალსახაა, რომ არაპარტნიორი ორგანიზაციების მეტად ინფორმირება ამ საკითხებზე აუცილებელია, რადგან მათ მეხუთედს არ აქვს შესაბამისი ინფორმაცია *(არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა: ფინანსური ხელმისაწვდომობა – 19%, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა – 20%)*.
- პროფესიული განათლება აღქმულია, როგორც **ნაკლებად პრესტიჟული**. მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ განათლების ეს საფეხური პრესტიჟულია, ცალსახად იზიარებს *არაპარტნიორი ორგანიზაციების 39%* და *პარტნიორი ორგანიზაციების 38%*. ამის საპირისპიროდ კი, ამგვარ ხედვას არ იზიარებს *არაპარტნიორი ორგანიზაციების მესამედი (30%)* და *პარტნიორების მეოთხედი (24%)*. თვისებრივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ პროფესიული განათლების ნაკლები პრესტიჟულობა, რაც საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპებით აიხსნება, ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ გამოწვევადაა შეფასებული.
- სწორედ პროფესიული განათლების პრესტიჟულობის გაზრდა, მისი პოპულარიზაცია მოსახლეობაში ზოგადად და, განსაკუთრებით, საზოგადოების კონკრეტულ ჯგუფებში (სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები, ახალგაზრდები, თავად დამსაქმებლები), ასევე პროფესიული განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლებაა ის ძირითადი რეკომენდაცია, რომელიც აქვთ დამსაქმებლებს და მიიჩნევენ, რომ ეს აუცილებლად შეუწყობს ხელს პროფესიული განათლების სფეროს განვითარებას.

პსდ-ებთან თანამშრომლობის არარსებობის მიზეზები

- იმ დამსაქმებლებიდან, რომლებიც ახლა არ თანამშრომლობენ პსდ-ებთან, 20%-ს ადრე უთანამშრომლია.
- პსდ-ებთან თანამშრომლობის არარსებობის მთავარ მიზეზად იკვეთება ის, რომ **პროფესიულ სტუდენტებს არ აქვთ მათი დარგისთვის საჭირო ცოდნა და უნარები** (46%), ასევე ის, რომ **თანამშრომლობას ნაკლები სარგებელი მოაქვს ორგანიზაციისთვის** (20%).
- თვისებრივმა კვლევამ, თავის მხრივ, თანამშრომლობის არქონის მიზეზებად გამოკვეთა *არასაკმარისი ინფორმირებულობა, ვიწრო სპეციალობების შემსწავლელი პროგრამების არარსებობა, პროფესიული განათლების ნაკლები პრესტიჟულობა და ორგანიზაციაში შესაბამისი ადამიანური რესურსის სიმწირე*. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ხაზგასმულია იმ დამსაქმებელთა მიერ, რომლებსაც ჰქონიათ პსდ-სთან თანამშრომლობის გამოცდილება.
- აღსანიშნავია, რომ პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებულ **არცერთ საკითხზე არ არის ინფორმირებული** არაპარტნიორი ორგანიზაციების 62%, მესამედი კი არცერთი საკითხის შესახებ ინფორმაციის/დამატებითი ინფორმაციის მიღებით არაა დაინტერესებული (29%). ამასთან, ყველაზე მეტი ისურვებდა ინფორმაციას მომზადება-გადამზადების (39%), პროფესიული პროგრამების (პროფესიების) (30%) და ასევე, პსდ-ებთან თანამშრომლობის შესაძლებლობის შესახებ (26%).
- **პსდ-ებთან თანამშრომლობა საინტერესო იქნებოდა** ორგანიზაციათა დიდი ნაწილისთვის და მთავარი მოტივაცია იქნებოდა, თუ თანამშრომლობა ორგანიზაციის იმიჯზე დადებით გავლენას მოახდენდა (28%).
- დამსაქმებელთა მეხუთედს ჰქონია პსდ-ების მხრიდან **თანამშრომლობის შესახებ შეთავაზება** (18%), 11% კი თავად ყოფილა თანამშრომლობის ინიციატორი. თვისებრივი კვლევის შედეგების თანახმად, თამამად შეიძლება

ითქვას, რომ დამსაქმებლები სწორედ პსდ-ებისგან მოელიან თანამშრომლობის ინიცირებას და, ზოგადად, აქტიურ ინფორმირებას როგორც პროგრამების, ასევე თანამშრომლობის სხვადასხვა შესაძლებლობის თაობაზე.

პსდ-ებთან თანამშრომლობის ძირითადი ორგანიზაციების გამოცდილებები

- პსდ-ების პარტნიორი ორგანიზაციების 56% მათთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში (გარდა დუალური და მომზადება-გადამზადების პროგრამებისა) პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებაში მონაწილეობს; 41% მომზადებისა და გადამზადების პროგრამების, 30% დუალური მიდგომით პროგრამების განხორციელებაში, 17% კი პსდ-ებთან სხვა ფორმით თანამშრომლობს.
- პსდ-ებთან თანამშრომლობა აღქმულია **ორგანიზაციისთვის კვალიფიციური პერსონალის მომზადების მექანიზმად**. ამასთან, თვისებრივი კვლევის მონაწილეებთან სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტსაც გაესვა ხაზი. როგორც აღმოჩნდა, დამსაქმებლები პსდ-ებთან თანამშრომლობას აღიქვამენ პროფესიული განათლების განვითარებაში წვლილის შეტანად.
- სხვადასხვა ფორმატში **თანამშრომლობის ინიცირება**, რაოდენობრივი კვლევის თანახმად, ეკუთვნის ორივე მხარეს (დამსაქმებელი და პსდ), თვისებრივი კვლევის შედეგების მიხედვით კი, ძირითადად ინიციატორი დაწესებულებაა.
- დამსაქმებლები **მონაწილეობენ სხვადასხვა პროცესში** (პროგრამის შედგენა, სტუდენტების შერჩევა, შეფასება, დასწრების აღრიცხვა და სხვა) და კომუნიკაციას დაწესებულებების ადმინისტრაციასთან აფასებენ დადებითად. ამასთან, ისურვებდნენ მეტი ინფორმაციის მიღებას სიახლეების თაობაზე და, პირველ რიგში, დროულ ინფორმირებას პროგრამებზე ახალი მიღებების გამოცხადების თაობაზე, რათა ეფექტიანად შეძლონ პროცესის დაგეგმვა და მასში ჩართვა.
- ერთ-ერთი **ყველაზე სერიოზული გამოწვევა** სტუდენტთა მოტივაციაა. აღნიშნულის მიზეზი პროფესიული განათლების ნაკლები პოპულარობა და სტუდენტების მიერ პროფესიის ნაკლებად გაცნობიერებული არჩევანია. დაბალი მოტივაციით აიხსნება სწავლისადმი ნაკლებად სერიოზული დამოკიდებულებაც, რაც პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში განსაზღვრული აქტივობების გაცდენაში გამოიხატება. დაბალი მოტივაციის ინდიკატორად შეიძლება გამოდგეს ისიც, რომ სტუდენტებში არცთუ ხშირია განვითარების სურვილი. სწორედ ამით აიხსნება დამსაქმებლების მიერ ორგანიზაციებში დასაქმებული პროფესიული კადრის იშვიათი დაწინაურება ან სხვა პოზიციაზე გადაყვანა.

ინფორმაციის წყაროები

- პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე ინფორმაციის მიღების **ძირითადი წყარო** *არაპარტნიორი ორგანიზაციებისთვის* სოციალური ქსელები (49%) და შესაბამისი ვებგვერდები (27%), ასევე ტელევიზია (20%) და სოციალური კაპიტალია (18%).

პარტნიორი ორგანიზაციების შემთხვევაში კი, ორი ძირითადი წყარო თავად პსდ (56%) და სოციალური ქსელებია (52%).

- თვისებრივი კვლევის მონაწილეებთან ხაზგასმული იყო **პლატფორმის** არსებობის აუცილებლობა, სადაც პროფესიული პროგრამებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ ინფორმაცია მოიყრიდა თავს. აღნიშნულზე მიუთითებდნენ არა მხოლოდ პსდ-ების არაპარტნიორი ორგანიზაციები, არამედ პარტნიორებიც, რაც გვაფიქრებინებს, რომ დამსაქმებელთა მნიშვნელოვან ნაწილს არ აქვს ინფორმაცია პორტალების შესახებ www.emis.ge და www.vet.ge, საიდანაც პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციას იღებს *არაპარტნიორი ორგანიზაციების 27%* და *პარტნიორი ორგანიზაციების 39%*.
- კიდევ ერთი პორტალის არსებობას მიიჩნევენ დამსაქმებლები მნიშვნელოვნად, სადაც პროფესიულ კურსდამთავრებულთა შესახებ ინფორმაცია მოიყრის თავს. ერთიანი ბაზის არსებობამ უნდა უზრუნველყოს დამსაქმებელთა მიერ სხვადასხვა კვალიფიკაციის კადრის შესახებ ინფორმაციაზე მარტივი ხელმისაწვდომობა, რამაც დამსაქმებელთა და სამუშაოს მაძიებელთა დაკავშირება უნდა გაამარტივოს.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა რამდენიმე რეკომენდაცია. კერძოდ:

- არსებითია ცნობიერების ამაღლება პროფესიული განათლების შესახებ, განსაკუთრებული მუშაობაა აუცილებელი *სკოლის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან, ახალგაზრდებთან* და *თავად დამსაქმებლებთან*.
- მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების ცნობადობის გაზრდა, რომლის ფარგლებშიც აქცენტი გაკეთდება *მომზადება-გადამზადების პროგრამებზე, ზოგადად, პროფესიულ პროგრამებზე (პროფესიებზე)* და *პსდ-ებთან თანამშრომლობის შესაძლებლობაზე*.
- აუცილებელია დამსაქმებლებში პორტალების www.emis.ge და www.vet.ge შესახებ ცნობადობის გაზრდა. ასევე, შესაძლებელია ახალი ერთიანი საინფორმაციო პლატფორმის შექმნა, სადაც თავს მოიყრის პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია და ინტეგრირებული იქნება პროფესიულ კურსდამთავრებულთა ბაზა. აღნიშნული შესაძლებელია დამსაქმებლისა და სამუშაოს მაძიებლის სწრაფად და მარტივად დაკავშირების მექანიზმად იქცეს.
- მნიშვნელოვანია, თავად პსდ-ების გვერდები (ვებგვერდები თუ სოციალური ქსელები) იყოს გამართული და დამსაქმებლისთვის საინტერესო ინფორმაციას მაქსიმალურად უყრიდეს თავს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მათთან დაკავშირება იყოს მარტივი და ისინი ხელმისაწვდომნი იყვნენ საკუთარ გვერდებზე მითითებულ ყველა პლატფორმაზე.
- მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფო დონეზე ცნობიერების ამაღლებისა და ცნობადობის გაზრდის მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, ასევე თავად პსდ-ების პროაქტიულობა, რამდენადაც დამსაქმებლები პროფესიულ პროგრამებსა თუ თანამშრომლობის შესაძლებლობებზე ინფორმაციის მიღებას სწორედ მათგან მოელიან.
- მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების, როგორც ხარისხიანი განათლების პოზიციონირება, რისთვისაც არსებითია დამსაქმებლების ინფორმირება იმის შესახებ, რომ საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის კონტროლი, შიდა მექანიზმთან ერთად, გარე მექანიზმის გამოყენებითაც ხორციელდება, რომელიც, თავის მხრივ, თანამედროვე და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისია.
- მნიშვნელოვანია, ზოგადად, პროფესიული განათლების და ასევე კონკრეტული კვალიფიკაციების პოპულარიზაცია და მეტად მოტივირებული ადამიანების დაინტერესება პროფესიული პროგრამებით.
- მნიშვნელოვანია პსდ-ებისა და დამსაქმებლების წარმატებული თანამშრომლობის თაობაზე კონკრეტული მაგალითების დემონსტრირება.
- მნიშვნელოვანია, დამსაქმებლებმა ვაკანსიების გამოცხადებისას ყველგან, სადაც პროფესიული კადრის საჭიროებაა, საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალში შესაბამისი პუნქტი მიუთითონ, რათა სამუშაოს მაძიებლებს პროფესიული მომზადება-გადამზადებისა თუ სხვა ტიპის პროგრამის არჩევის მოტივაცია გაუჩნდეთ, საზოგადოებისთვის კი ნათელი გახდეს, რომ პროფესიული განათლების მქონე კადრზე რეალურად არსებობს მოთხოვნა შრომის ბაზარზე.

შესაძლებელია პსდ-ებისთვის დამოუკიდებელი საქმიანობის უფლების მინიჭების საკითხის განხილვა, რათა მათ, როგორც სერვისის პროვაიდერებმა, ტრენინგცენტრების ფუნქცია შეასრულონ. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება რეგიონებში, სადაც საგანმანათლებლო ცენტრების სიმწირეა, პსდ-ებს კი გაუჩნდებათ შესაძლებლობა, იქცნენ განათლების ერთგვარ ჰაბად. თავის მხრივ, დამსაქმებლების მნიშვნელოვანმა ნაწილმა, რომელთაც არ აქვთ რესურსი, სხვადასხვა ფორმით ითანამშრომლონ პსდ-ებთან, თანამშრომელთა გადამზადებისთვის კი ტრენინგცენტრებთან თანამშრომლობენ (ან თავად აქვთ მსგავსი ცენტრები), უფრო მარტივად შეიძლება შეისყიდოს სერვისი პსდ-ებისგან თანამშრომლების მომზადება-გადამზადების მიზნით.

ანა ელბაქიძე

სიმართლე რომ ვთქვა, სკოლა არასდროს ყოფილა ის ადგილი, სადაც თავს სრულიად კომფორტულად ვიგრძნობდი. მუდამ იყო განცდა, რომ რაღაც მაკლდა. ერთი შეხედვით, კარგი ცხოვრება მქონდა სკოლაში, მაღალ ნიშნებზე ვსწავლობდი. მასწავლებლებს ვუყვარდი და არ მქონდა დაძაბული ურთიერთობა მათთან. ჩემს კლასელებსაც ვუყვარდი და მეც მიყვარდნენ ისინი, თუმცა მაინც რაღაც მაკლდა – ვერ ვხვდებოდი იმ დროისთვის – რა.

ბოლო წელს უკვე სკოლაში სიარული მიკარგავდა მოტივაციას. ყოველი დღე ერთი და იგივე იყო. თითქოს რაღაც რუტინაში ვცხოვრობდი და დროც კი არ მრჩებოდა საკუთარი თავისთვის. დილას ადგომა, სკოლაში წასვლა, მოსვლა, მეცადინეობა, ძილი – ეს იყო ჩემი საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში. კარგად ვსწავლობდი და ვშრომობდი, მაგრამ ამ შრომას ჩემი ყველა რესურსი მიჰქონდა.

დედაჩემს რომ ვუთხარი ამ ყველაფრის შესახებ, ზუსტად მაშინ გაჩნდა ეს იდეა. იდეა, რომელმაც ცხოვრება ნამდვილად შემიცვალა. მითხრა, რომ სწავლის გაგრძელება აიტი-აკადემიაში შემეძლო გრაფიკული დიზაინის და პროგრამირების განხრით.

იდეა თავიდანვე მომეწონა, რადგან პროგრამირება და გრაფიკული დიზაინი ბავშობიდან ძალიან მიყვარდა და თან აღარც სკოლის სისტემის მიხედვით მომიწევდა სწავლის გაგრძელება. ველოდები, რომ კოლეჯში ბოლომდე შევძლებ ჩემი თავის სრულად გამოხატვას და ის დამეხმარება, ჩემი მიზნები და სურვილები რეალობად ვაქციო. ვინაიდან ხატვა ყოველთვის იყო და დღემდე არის ჩემი საყვარელი საქმიანობა, კოლეჯი ამ მიმართულებითაც დამეხმარება, სრულად გამოვიყენო ჩემი პოტენციალი. ატესტატსაც ავიღებ და კოლეჯის დიპლომიც მექნება. ჩემი პროფესიული მომავალი და ოცნება ბერლინის ხელოვნების სკოლაა. მინდა, შევძლო შევქმნა რაღაც ახალი, განსხვავებული და ისეთი, რაც ადამიანებს უკეთ აგრძნობინებს თავს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის პროფესიული პროგრამების განხორციელების შესახებ

ჟურნალ „პროფესიული განათლების“ შეკითხვებს, თამარ დვალი – აზიის განვითარების ბანკის პროექტის მენეჯერი პასუხობს:

ქალბატონო თამარ, აზიის განვითარების ბანკი ძალიან მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს საქართველოში პროფესიული განათლების განვითარებისათვის. მისი ნაწილია პროფესიული პროგრამების მხარდაჭერა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. რამდენ სკოლას მოიცავთ და რამდენად არის შესაძლებელი, რომ პროექტში ჩართული სკოლები გახდნენ ერთგვარი რესურსცენტრები ან საკონსულტაციო ცენტრები სხვა სკოლებისათვის?

აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით და პროფესიული უნარების სააგენტოს კოორდინაციით, დაიწყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გაძლიერება. ADB აზიის განვითარების ბანკის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში შერჩეულია 20 საჯარო სკოლა ქვეყნის მასშტაბით. პროექტის ფარგლებში, სკოლაში მოეწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურა/სახელოსნოები და პროფესიული განათლების მიღების მსურველებს შესაძლებლობა ექნებათ, პროფესიას სკოლის ბაზაზე დაეუფლონ. ეს არის ჩვენს სისტემაში პირველი პრეცედენტი, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ამავდროულად ხდება პროფესიული განათლების პროვაიდერი. შერჩეული სკოლა მინიმუმ ორ პროფესიულ პროგრამას განახორციელებს.

ჩვენი პროექტის გუნდი მუშაობს სკოლების ინფრასტრუქტურის მიმართულებით და ასევე ხდება მათი ინსტიტუციური გაძლიერებაც, რათა მოიპოვონ უფლება, განახორციელონ პროფესიული პროგრამები. დაგეგმილი გვაქვს და ვმუშაობთ სკოლების მხარდაჭერაზე სხვადასხვა მიმართულებით. გვაქვს სკოლების მხარდაჭერის და შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მოხდება მათი გადამზადება ავტორიზაციის პროცესისათვის. აქვე მინდა აღვნიშნო ჩვენი წარმატებული ნაბიჯები სკოლების გაძლიერების კუთხით. ეს არის სკოლებსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობა. პროექტის ფარგლებში თანამშრომლობის პრეცედენტი უკვე შედგა – პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებმა ჩვენი პროექტის სამიზნე სკოლებს დაუმზადეს ვებგვერდები და აღნიშნული პროცესი დღესაც წარმატებით გრძელდება. აღსანიშნავია, რომ აზიის ბანკის მხარდაჭერით, საქართველოში ორი პროფესიული კოლეჯის HUB-ის კონცეფციაზე ვმუშაობთ. აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები იქნებიან ის ინსტიტუციები, რომლებიც როგორც სკოლებს, ისე ნებისმიერ საგანმანათლებლო დაწესებულებას გაუწევენ მხარდაჭერას - პროგრამების დანერგვის პროცესშიც და მდგრადობის შესანარჩუნებლადაც.

ქალბატონო თამარ, არსებობს თუ არა კანონიერი საფუძველი, რაც უფლებას მისცემს სკოლას, რომ განახორციელოს პროფესიული პროგრამები და რა აუცილებელი პირობებია დასაკმაყოფილებელი ამისათვის?

პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონში განსაზღვრულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების უფლება, განახორციელოს საბაზო და საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო



თამარ დვალი

პროგრამები, სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამა, პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამები. კანონი ასევე შესაძლებლობას აძლევს საგანმანათლებლო დაწესებულებებს (სკოლა, კოლეჯი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება), ერთობლივად განახორციელონ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. აღნიშნული პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება სკოლას შეუძლია დამატებითი იურიდიული პირის შექმნის გარეშე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც გადაწყვეტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, ვალდებულია, შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (ციკლი: დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, შეაფასე და განავითარე), რომელთა მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ხუთი სტანდარტის დაკმაყოფილება. პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვებისათვის კი უნდა დაკმაყოფილდეს სამი სტანდარტი, დადგენილი წესის შესაბამისად.

როგორც აღვნიშნე, კანონმდებლობა სკოლას ასევე აძლევს შესაძლებლობას, დამატებითი იურიდიული პირის დაფუძნების გარეშე განახორციელოს პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამები. პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება დარეგულირებულია „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების

დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით. ამ შემთხვევაში სკოლამ უნდა დააკმაყოფილოს სამი სტანდარტი, რომლებიც ეხება პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამას.

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დამატება არის უფრო ხანმოკლე და უფრო მარტივი პროცედურა, ვიდრე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება. სკოლას (ისევე, როგორც ნებისმიერ საგანმანათლებლო დაწესებულებას) შეუძლია როგორც დამოუკიდებლად განახორციელოს პროგრამა, ასევე სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით, რეალურ სამუშაო გარემოში, პარტნიორ საწარმოსთან ერთად (მაგალითად, პროგრამის თეორიული კომპონენტი შესაძლებელია ხორციელდებოდეს სკოლის ბაზაზე, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი - პარტნიორი კომპანიის ბაზაზე).

შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით შემუშავებული პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამები არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ. ეს პროგრამები ძირითადად ზრდასრულთა განათლების სისტემის ნაწილს წარმოადგენს, რომელთა განხორციელებაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას კანონმდებლობით შეუძლია.

რა უპირატესობას აძლევს ეს სკოლას? რატომ უნდა მოუნდეს სკოლას, რომ პროფესიული პროგრამა განახორციელოს?

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ძლიერდება როგორც ადამიანური რესურსით, ისე ფინანსური რესურსით. გარდა ამისა, იგი ხდება თემში მეტად საჭირო – პროფესიული განვითარების კერა. სკოლა ხდება მრავალფუნქციური საგანმანათლებლო დაწესებულება. იგი ძლიერდება, როგორც საგანმანათლებლო ინსტიტუცია და ემატება საშტატო ერთეულები პროფესიული განათლების მიზნებისათვის. გარდა მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ვაუჩერისა, იღებს პროგრამების შესაბამის დაფინანსებას სახელმწიფოსგან. ის არის დაწესებულება, რომელიც შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც პროფესიული უნარების სააგენტოს პოლიტიკის გამტარებელი. მსგავსი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების არსებობის შემთხვევაში სკოლების მხარდაჭერა მოხდება შემდეგი მიმართულებებით: პროგრამების შემუშავება, ადმინისტრირება/მართვა, ხარისხის უზრუნველყოფა, ადამიანური რესურსების განვითარება, დამსაქმებლებთან ურთიერთობა, საპროფორიენტაციო საქმიანობა, კონსულტირება სასწავლო გარემოს მოწყობასთან, ეკონომიკურ/ფინანსურ საქმიანობასა და სამართლებრივი რეგულაციების მომზადებასთან დაკავშირებით – როგორც ეს დღეს ხდება ჩვენი პროექტის ფარგლებში.

აზიის განვითარების ბანკის პროექტის ფარგლებში ასევე ე.წ. HUB-კოლეჯები აქტიურად განახორციელებენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერას.

გთხოვთ, მოგვიყვეთ წარმატების მაგალითების შესახებ.

მნიშვნელოვანია, რომ დასრულებული გვაქვს მხარდაჭერის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც უახლოეს პერიოდში ვიწყებთ სკოლების ინსტიტუციურ გაძლიერებას (ტრენინგებს). ასევე პროექტის 20 სამიზნე სკოლის ინფრასტრუქტურის სამუშაოებისთვის მიმდინარეობს პროექტირება. საერთაშორისო ექსპერტის მიერ შეირჩა ულტრათანამედროვე აღჭურვილობა და მომზადებულია სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღჭურვის პროექტები.

პირველ ეტაპზე დაიწყება ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები და შემდგომ უკვე მათი მომზადება ავტორიზაციის პროცესისთვის, რათა გახდნენ პროფესიული განათლების პროვაიდერები.

ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენი პროექტის მხარდაჭერის მოდელები მოგვცემს შესაძლებლობას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული პროგრამების დანერგვის პროცესი წარიმართოს თანმიმდევრულად და შენარჩუნდეს მათი მდგრადობა.

პროფესიული განათლებით დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა

ნატო ინგოროყვა

გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, უნარების სააგენტოს მიერ ორი მნიშვნელოვანი კვლევა განხორციელდა პროფესიული განათლების მიმართულებით. კვლევების თემატიკა უკავშირდება პროფესიული განათლების პრესტიჟის ამაღლებას საზოგადოებაში, დამსაქმებლების ცნობიერების ამაღლებასა და ახალგაზრდების ინფორმირებულობას.

საქართველოში ახალგაზრდების მხოლოდ 5%-ია ჩართული პროფესიულ განათლებაში, მაშინ როდესაც ევროპის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 50%-ს აჭარბებს. ახალგაზრდების უმუშევრობის მაჩვენებელი ევროპაში, მაგალითად, გერმანიაში 4-% ზე ოდნავ მეტია, ხოლო საქართველოში ახალგაზრდების 30%-ზე მეტი დაუსაქმებელია. ეს მონაცემები პირდაპირ აჩვენებს, რა კავშირია პროფესიულ განათლებასა და ახალგაზრდების დასაქმებას შორის. პროფესიული განათლება ყველაზე ახლოს დგას ეკონომიკის განვითარებასთან და ადამიანების კეთილდღეობასთან. განათლების ამ ფორმას დღესაც არ აქვს ისეთი პრესტიჟი ჩვენს ქვეყანაში, როგორიც ევროპის ქვეყნებში აქვს. შესაბამისად, აუცილებელია, რომ ვიცოდეთ, რას ფიქრობს საზოგადოება, ახალგაზრდები, მშობლები და რა აზრისაა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოკავშირე – დამსაქმებელი.

კვლევები პერიოდულად ხორციელდება და ჩვენ საშუალება გვაქვს, რომ დავაკვირდეთ დინამიკაში იმ სასიკეთო ცვლილებებს, რომლებიც დროთა განმავლობაში იკვეთება. პროფესიული განათლების განვითარებას არ აქვს მყისიერი ეფექტი, მაგრამ ის სასიკეთო და იმედის მომცემ შედეგებს აჩვენებს და ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტენდენცია დადებითი ცვლილებებისკენ უკვე სახეზეა. 2022 წელს უპრეცედენტო რაოდენობა ჩაირიცხა პროფესიულ პროგრამებზე – 13 ათასზე მეტი ახალგაზრდა პროფესიული პროგრამების სტუდენტი გახდა.

პროფესიული განათლებით დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები

პროფესიული უნარების სააგენტომ, კვლევისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანია „ეისითის“ მხარდაჭერით, ჩაატარა ორი კვლევა, **პროფესიული განათლებით დამსაქმებელთა კმაყოფილებისა და პროფესიული განათლების თაობაზე საზოგადოებრივი აზრის შესახებ.** სააგენტოს მიერ კვლევის ჩატარების მიზანი იყო, გამოვლენილიყო დამსაქმებელთა საჭიროებები, ინტერესები და დამოკიდებულებები პროფესიული განათლებისა და პროგრამებისადმი. კვლევის შედეგები სააგენტოს სამომავლო სტრატეგიისა და საქმიანობის დასაგეგმად იქნება გამოყენებული, რამაც ხელი უნდა შეუწყოს პროფესიული განათლების განვითარებას.

პროფესიული განათლებისადმი დამოკიდებულების ირგვლივ გამოიკვეთა მნიშვნელოვანი საკითხები და მახასიათებლები:

დამსაქმებლები მიიჩნევენ, რომ პროფესიული განათლება მნიშვნე-

ლოვან როლს ასრულებს ქვეყანაში უმუშევრობის დონის შესამცირებლად *(პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების არაპარტნიორი ორგანიზაციები – 70%, პარტნიორი ორგანიზაციები – 75%)* და აძლიერებს ქვეყნის ეკონომიკას *(პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების არაპარტნიორი ორგანიზაციები – 79%, პარტნიორი ორგანიზაციები – 77%)*.

პროფესიული განათლება აღქმულია, როგორც პროფესიის სწრაფად დაუფლების *(არაპარტნიორი ორგანიზაციები – 80%, პარტნიორი ორგანიზაციები – 84%)* და სწრაფად დასაქმების *(არაპარტნიორი ორგანიზაციები – 66%, პარტნიორი ორგანიზაციები – 68%)* გზა.

დამსაქმებელთა შეფასებების თანახმად, პროფესიული განათლება მეტ-ნაკლებად პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ პსდ-ებში ისწავლება ისეთი პროფესიები, რომლებზეც მოთხოვნაა შრომის ბაზარზე/დამსაქმებლების მხრიდან *(არაპარტნიორი ორგანიზაციები – 60%, პარტნიორი ორგანიზაციები – 75%)* და რომ პროფესიული განათლება საშუალებას აძლევს სტუდენტს, შეიძინოს ის უნარები, რომლებიც მნიშვნელოვანია დამსაქმებლისთვის *(არაპარტნიორი ორგანიზაციები – 78%, პარტნიორი ორგანიზაციები – 80%)*, მაგრამ ეს აუცილებლად არ გულისხმობს იმას, რომ საქართველოს პსდ-ების კურსდამთავრებულებს აქვთ შრომის ბაზრის/დამსაქმებელთა მოთხოვნის შესაბამისი უნარები *(არაპარტნიორი ორგანიზაციები – 34%, პარტნიორი ორგანიზაციები – 43%)*. თვისებრივი კვლევის შედეგებს თუ გავითვალისწინებთ, განსაკუთრებული გამოწვევაა ე.წ. რბილი უნარების ფლობა, ასევე არასაკმარისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარების თვალსაზრისით არსებული გამოწვევები.

რაოდენობრივი კვლევის შედეგების თანახმად, პროფესიული განათლება აღქმულია საშუალო ხარისხის განათლებად, რომელიც ნაკლებად უზრუნველყოფს თვითრეალიზებას. თუ თვისებრივი კვლევის შედეგებს გავითვალისწინებთ, პროფესიული განათლების, როგორც ნაკლებად ხარისხიანის აღქმა სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს უკავშირდება, რომელთა თანახმადაც პროფესიულ განათლებას ნაკლები ინტელექტუალური რესურსის მქონე ადამიანები ირჩევენ ფინანსურ კაპიტალზე შეზღუდული ხელმისაწვდომობით. სწორედ ამგვარი დამოკიდებულების გამო, პროფესიული განათლება ნაკლებად პრესტიჟულია და დამსაქმებელთა აზრით, მას მოტივირებული, განვითარებაზე ორიენტირებული ადამიანები ნაკლებად ირჩევენ. ამიტომაც აცხადებენ ისინი უმაღლეს განათლებას საკვალიფიკაციო მოთხოვნად იმ პოზიციებზეც, სადაც ამის აუცილებლობა არ არის. ამასთან, თვისებრივი კვლევის მონაწილეთა შეფასებით, მოტივირებულ კურსდამთავრებულთა მხრიდან საკუთარ თავზე მუშაობით თვითრეალიზება სავსებით შესაძლებელია.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა აღქმულია ხელმისაწვდომად როგორც ფინანსური *(არაპარტნიორი ორგანიზაციები – 53%, პარტნიორი ორგანიზაციები – 82%), ასევე გეოგრაფიული (არაპარტნიორი ორგანიზაციები – 41%, პარტნიორი ორგანიზაციები – 70%)* თვალსაზრისით. აქვე ცალსახაა, რომ არაპარტნიორი ორგანიზაციების მეტად ინფორმირება ამ საკითხებზე აუცილებელია, რადგან მათ მეხუთედს არ აქვს შესაბამისი

ინფორმაცია *(არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა: ფინანსური ხელმისაწვდომობა – 19%, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა – 20%).*

პროფესიული განათლება აღქმულია, როგორც ნაკლებად პრესტიჟული. მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ განათლების ეს საფეხური პრესტიჟულია, ცალსახად იზიარებს *არაპარტნიორი ორგანიზაციების 39% და პარტნიორი ორგანიზაციების – 38%*. ამის საპირისპიროდ კი, ამგვარ ხედვას არ იზიარებს *არაპარტნიორი ორგანიზაციების მესამედი (30%) და პარტნიორების მეოთხედი (24%)*. თვისებრივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ პროფესიული განათლების ნაკლები პრესტიჟულობა, რაც საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპებით აიხსნება, ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ გამოწვევადაა შეფასებული. სწორედ პროფესიული განათლების პრესტიჟულობის გაზრდა, მისი პოპულარიზაცია მოსახლეობაში, განსაკუთრებით, საზოგადოების კონკრეტულ ჯგუფებში (სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები, ახალგაზრდები, თავად დამსაქმებლები), ასევე პროფესიული განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლებაა ის ძირითადი რეკომენდაციები, რომლებიც აქვთ დამსაქმებლებს. ისინი მიიჩნევენ, რომ ეს აუცილებლად შეუწყობს ხელს პროფესიული განათლების სფეროს განვითარებას.

ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა ასევე **სტუდენტთა მოტივაცია**. აღნიშნულის მიზეზი პროფესიული განათლების ნაკლები პოპულარობა და სტუდენტების მიერ პროფესიის ნაკლებად გაცნობიერებული არჩევანია. დაბალი მოტივაციით აიხსნება სწავლისადმი ნაკლებად სერიოზული დამოკიდებულებაც, რაც პრაქტიკული კომპონენტით განსაზღვრული აქტივობების გაცდენაში გამოიხატება. დაბალი მოტივაციის ინდიკატორად შეიძლება გამოდგეს ისიც, რომ სტუდენტებში არცთუ ხშირია განვითარების სურვილი. სწორედ ამით აიხსნება დამსაქმებლების მიერ ორგანიზაციებში დასაქმებული პროფესიული კადრის იშვიათი დაწინაურება ან სხვა პოზიციაზე გადაყვანა.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა რამდენიმე რეკომენდაცია:

არსებითია ცნობიერების ამაღლების საჭიროება პროფესიული განათლების შესახებ; განსაკუთრებული მუშაობაა აუცილებელი სკოლის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან, ახალგაზრდებთან და თავად დამსაქმებლებთან.

მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების ცნობადობის გაზრდა, აქცენტის გაკეთება მომზადება-გადამზადების პროგრამებზე, ზოგადად, პროფესიულ პროგრამებზე (პროფესიებზე) და პსდ-ებთან თანამშრომლობის შესაძლებლობაზე.

აუცილებელია დამსაქმებლებში პორტალების www.emis.ge და www.vet.ge ცნობადობის გაზრდა. ასევე, შესაძლებელია ერთიანი საინფორმაციო პლატფორმის შექმნა, სადაც თავს მოიყრის პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია. მასში ინტეგრირებული იქნება პროფესიულ კურსდამთავრებულთა ბაზაც. ეს შესაძლებელია, დამსაქმებლისა და სამუშაოს მაძიებლის სწრაფად და მარტივად დაკავშირების მექანიზმად იქცეს.

ასევე აუცილებელია, თავად პსდ-ების გვერდები (ვებგვერდები თუ სოციალური ქსელები) იყოს გამართული და დამსაქმებლისთვის საინტერესო ინფორმაციას მაქსიმალურად უყრიდეს თავს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მათთან დაკავშირება იყოს მარტივი და ისინი ხელმისაწვდომნი იყვნენ საკუთარ გვერდებზე მითითებულ ყველა პლატფორმაზე.

აუცილებელია ნაბიჯების გადადგმა როგორც სახელმწიფო დონეზე ცნობიერების ამაღლებისა და ცნობადობის გაზრდის მიმართულებით, ასევე თავად პსდ-ების პროაქტიულობა, რამდენადაც დამსაქმებლები პროფესიულ პროგრამებსა თუ თანამშრომლობის შესაძლებლობებზე ინფორმაციას სწორედ მათგან მოელიან.

მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების, როგორც ხარისხიანი განათლების პოზიციონირება, რისთვისაც არსებითია დამსაქმებლების ინფორმირება იმის შესახებ, რომ საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის კონტროლი, შიდა მექანიზმთან ერთად, გარე მექანიზმის გამოყენებითაც ხორციელდება, რომელიც, თავის მხრივ, თანამედროვე და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისია.

მნიშვნელოვანია როგორც, ზოგადად, პროფესიული განათლების, ასევე კონკრეტული კვალიფიკაციების პოპულარიზაცია და მოტივირებული ადამიანების დაინტერესება პროფესიული პროგრამებით; პსდ-ებისა და დამსაქმებლების წარმატებული თანამშრომლობის თაობაზე კონკრეტული მაგალითების დემონსტრირება.

დამსაქმებლებმა ვაკანსიების გამოცხადებისას ყველგან, სადაც პროფესიული კადრის საჭიროებაა, საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალში შესაბამისი პუნქტი უნდა მიუთითონ, რათა სამუშაოს მაძიებლებს პროფესიული მომზადება-გადამზადებისა თუ სხვა ტიპის პროგრამის არჩევის მოტივაცია გაუჩნდეთ, საზოგადოებისთვის კი ნათელი გახდეს, რომ პროფესიული განათლების მქონე კადრზე რეალურად არსებობს მოთხოვნა შრომის ბაზარზე.

შესაძლებელია პსდ-ებისთვის დამოუკიდებელი საქმიანობის უფლების მინიჭების საკითხის განხილვა, რათა მათ, როგორც სერვისის პროვაიდერებმა, ტრენინგ-ცენტრების ფუნქცია შეასრულონ. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონებისთვის, სადაც საგანმანათლებლო ცენტრების სიმწირეა, პსდ-ებს კი გაუჩნდებათ შესაძლებლობა, იქცნენ განათლების ერთგვარ ჰაბად. თავის მხრივ, იმ დამსაქმებლებმა, რომელთაც არ აქვთ რესურსი, სხვადასხვა ფორმით ითანამშრომლონ პსდ-ებთან, თანამშრომელთა გადამზადებისთვის კი ტრენინგ-ცენტრებთან თანამშრომლობენ (ან თავად აქვთ მსგავსი ცენტრები), უფრო მარტივად შეიძლება შეისყიდონ სერვისი პსდ-ებისგან თანამშრომლების მომზადება-გადამზადების მიზნით.

რატი შეყილაძე

„ჯორჯიან მანგანეზისთვის“ განსაკუთრებით პრიორიტეტულია საწარმოო მიმართულებით ვიწრო და დარგობრივი ადამიანური რესურსის მომზადება. სწორედ ამიტომ, კომპანია ხელს უწყობს თანამშრომლებს, შეისწავლონ ახალი პროფესია შრომის ბაზარის მოთხოვნების შესაბამისად. ამისთვის კი პროფესიული კურსები საუკეთესო საშუალებაა.

„ჯორჯიან მანგანეზში“ მუშაობა სამი წლის წინ დავიწყე გვირაბგამყვანის პოზიციაზე. შემდეგ კვალიფიკაციის ამაღლება და ახალი პროფესიის შესწავლა გადავწყვიტე. GM Academy-ის ორგანიზებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე, ამფეთქებლის საკვალიფიკაციო კურსი გავიარე. სამთვიანი ინტენსიური თეორიული და პრაქტიკული კურსის გავლის შემდეგ შესაბამისი კვალიფიკაცია მომენიჭა და დიპლომიც ავიღე. ჩემთვის ეს დიპლომი და გამოცდაზე მიღებული კარგი შეფასება განსაკუთრებული სტიმულია. კურსის გავლის შემდეგ ახალი პროფესიით გავაგრძელე მუშაობა და მიხარია, რომ პროფესიული პროგრამის გავლა დამეხმარა ამ ყველაფერში. ჩვენი კომპანიისთვის თანამშრომლების გადამზადება ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ სხვადასხვა პროგრამას გვთავაზობს. ვფიქრობ, რომ წარმატებით გავლილი პროფესიული კურსები და ცოდნის გაღრმავება ჩემს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის“, – რატი შეყილაძე, ამფეთქებელი.

GM Academy-ის ორგანიზებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე ამფეთქებლის საკვალიფიკაციო კურსი „ჯორჯიან მანგანეზის“ კიდევ ოთხმა თანამშრომელმა გაიარა. კომპანიის მიზანი დეფიციტური პროფესიების პოპულარიზაცია და ახალი სპეციალისტების მომზადებაა, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საწარმოო ინდუსტრიის განვითარებაში.

პროფესიული განათლებიდან სტუდენტთა გადინების პრობლემა და რეკომენდაციები

ჟურნალ „პროფესიული განათლების“ შეკითხვებს უნარების განვითარებისა და ახალგაზრდობის ექსპერტი ანასტასია ქიტიაშვილი პასუხობს.

ქალბატონო ანასტასია, პროფესიული განათლებიდან სტუდენტთა გადინება და სწავლის შეწყვეტა გლობალური პრობლემაა განვითარებულ ქვეყნებშიც კი. რა ტენდენციებია ამ მიმართულებით ევროპის ქვეყნებში და ჩვენს ქვეყანაში?

პროფესიული განათლების მიტოვება ნიშნავს, რომ სტუდენტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას კვალიფიკაციის მიღებამდე ტოვებს.

პროფესიული განათლების მიტოვება კომპლექსური საკითხია და განპირობებულია სტუდენტების ინდივიდუალური, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით, ასევე ინსტიტუციური, სიტუაციური, საზოგადოებასთან დაკავშირებული ფაქტორებით და სხვა. გასაკვირი არ არის, რომ პროფესიული განათლების მიტოვების შედეგიც კომპლექსურია და უარყოფითად აისახება როგორც ინდივიდებზე, ასევე ოჯახებსა და მთელ საზოგადოებაზე.

ახალგაზრდები, რომლებიც სწავლას წყვეტენ, მეტად საქმდებიან დაბალკვალიფიციურ პოზიციებზე, იღებენ დაბალ შემოსავალს და, ზოგადად, კარიერული წინსვლის შესაძლებლობა შეზღუდული აქვთ (Patzina, at al., 2020[1]). სწავლის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ახალგაზრდები არიან უფრო მეტად დეპრესიულები, უკმაყოფილოები თავიანთი ცხოვრებით ანდა გაუცხოებულები, ვიდრე მათი თანატოლები. სწავლის მიტოვება უარყოფითად აისახება ოჯახების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზეც, მაგალითად, თავს იჩენს ისეთი პრობლემები, როგორიცაა სიღარიბე, შემოსავლების უთანასწორობა და სხვა. პროფესიული განათლების მიტოვება, საერთო ჯამში, ადამიანური და სოციალური კაპიტალის დაკარგვას იწვევს.

პროფესიული განათლების მიტოვების მაღალი მაჩვენებელი ერთ-ერთ გამოწვევაა როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე საქართველოში. მაგ., გერმანიასა და დანიაში სწავლის მიტოვების მაჩვენებელი საშუალოდ 20%-ია (2017), ჰოლანდიაში – 16% (2019). Eurostat 2021-ის მონაცემებით, 2021 წლისთვის ევროკავშირში 18-24 წლის ახალგაზრდების 9.7%-მა (კაცების 11.4% და ქალების 7.9%) ადრეულ ეტაპზე შეწყვიტა სწავლა. ლისაბონის სტრატეგიის მიზანი იყო, 2020 წლისთვის მიტოვების მაჩვენებელი ევროკავშირის ქვეყნებში შემცირებულიყო 10%-მდე. ამ ნიშნულს დღეს ბევრი ქვეყანა აკმაყოფილებს, თუმცა ეს საკითხი კვლავ პრიორიტეტულად რჩება ევროკავშირის განათლების პოლიტიკაში.

საქართველოში პროფესული განათლების მიტოვების მაჩვენებლი უფრო მაღალია. 2017-2021 წლებში საქართველოში დაახლოებით 34.6%-მა მიატოვა სწავლა (ACT, 2020). 2019 წელს ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იყო – 39.7%; 2020 წელს – 28%-ს შეადგენდა, ხოლო 2021 წელს – 36.6%-ს.

რა მიზეზით ტოვებენ ახალგაზრდები და ზრდასრულები პროფესიული განათლების პროგრამებს საქართველოში?

1 Alexander Patzina, Gabriele Wydra-Somaggio, Early Careers of Dropouts from Vocational Training: Signals, Human Capital Formation, and Training Firms, European Sociological Review, Volume 36, Issue 5, 2020, Pages 741-759, https://doi.org/10.1093/esr/jcaa011

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში (Skills4jbs) ჩატარებული კვლევის მიხედვით, ახალგაზრდების საშუალო ასაკი, რომელთაც სწავლა შეწყვიტეს 2022 წლისთვის, არის 28 წელი (SD=8.12; 18-59 წელი). ნახევარზე მეტი მდედრობითი სქესისაა, უმეტესობას უმაღლესი განათლება აქვს მიღებული და 2/3 დასაქმებულია.

ამავე კვლევაში გამოიკვეთა მკვეთრად „დაღმავალი მიტოვების“ ტენდენცია, რაც ნიშნავს, რომ ახალგაზრდა გადის განათლების სისტემიდან, ანუ სწავლას არ აგრძელებს განათლების უფრო მაღალ, იმავე ან დაბალ საფეხურზე. კვლევის მიხედვით, პროფესიულ კოლეჯში სწავლის შეწყვეტის 5 ყველაზე გავრცელებული მიზეზია:

1. პროგრამის მოუქნელი გრაფიკი;
2. სასწავლებლის არახელსაყრელი მდებარეობა;
3. დასაქმება;
4. ფინანსური პრობლემები (მგზავრობასთან, საცხოვრებელთან დაკავშირებული);
5. ქორწინება-განქორწინება, ოჯახური მდგომარეობა, ბავშვის ყოლა.

კვლევამ აჩვენა, რომ სწავლის შეწყვეტის მიზეზები ძირითადად ინსტიტუციურია, რაზეც სტუდენტებს შეზღუდული გავლენა აქვთ. ამდენად, ეს მიზეზები სწავლის გაგრძელების ბარიერს წარმოადგენს.

გასათვალისწინებელია, რომ რამდენიმე სტუდენტის გარდა, კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა სტუდენტებს არ ჰქონიათ არც სწავლის დაწყებამდე, არც სწავლის მიტოვების გადაწყვეტილების მიღებამდე და არც გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. სახეზეა სტუდენტების მხრიდან სწავლის შეწყვეტის შესახებ მიღებული არაინფორმირებული გადაწყვეტილება. ამ ფონზე გასაკვირი არ არის, რომ 1/5 მოგვიანებით ნანობს სწავლის მიტოვების გადაწყვეტილებას, რასაც სხვა კვლევებიც ადასტურებს (Kitiashvili at al., 2026).

რა რეკომენდაციებს მისცემდით განათლების პოლიტიკის განმახორციელებლებს?

სწავლის მიტოვება უნდა გაანალიზდეს, როგორც გრძელვადიანი პროცესი და არა როგორც მყისიერი ან მოკლევადიანი გადაწყვეტილება. სისტემატური კვლევის ჩატარებაა საჭირო იმის გასარკვევად, როგორ იცვლება იმ ახალგაზრდების პროფილი, რომლებიც სწავლას ნაადრევად წყვეტენ, რა ნიშნები ხდება უფრო გამოკვეთილი, როგორია ახალგაზრდების განწყობები, მოტივები, გადაწყვეტილების მიღების პროცესი, სასწავლო გარემოსა და სოციალური კონტექსტის გავლენა, როგორ ხდება ახალგაზრდების კარიერული წინსვლა ან პროფესიული განვითარება სწავლის მიტოვების შემდეგ და ა.შ.

მნიშვნელოვანია დაწესებულებების დონეზე იმ მექანიზმების გაძლიერება, რომლების დახმარებითაც შესაძლებელი იქნება სწავლის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი სტუდენტების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირება და მათთვის შესაბამისი სერვისის შეთავაზება.

რეკომენდებულია ინტენსიური კარიერული კონსულტაციის თუ სხვა

სტუდენტური სერვისების შეთავაზება. მნიშვნელოვანია ამ პროცესში გენდერული საკითხების, ახალგაზრდების სოციალური სტატუსის, საჭიროებებისა და სხვა საკითხების გათვალისწინება.

მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების მასწავლებლის უწყვეტი პროფესიული განვითარება, რაც სისტემისა და დაწესებულებების ერთობლივი ძალისხმევით უნდა განხორციელდეს. პროფესიული განათლების მასწავლებლებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ რისკის ქვეშ მყოფი სტუდენტების იდენტიფიცირებაში, თუმცა მათ ხშირად არ აქვთ შესაძლებლობა, დრო ან რესურსები, რათა შესაბამისი ინტერვენცია განახორციელონ. ამისთვის საჭიროა მათი ჩართვა მულტიფუნქციურ ჯგუფებში, რომლებიც ერთობლივად იმუშავებენ მიტოვების მაჩვენებლების პრევენციაზე.

რეკომენდებულია, სასწავლებლებმა სასწავლო გრაფიკი გახადონ მოქნილი, გაუმჯობესონ საგანმანათლებლო პროგრამები და სწავლება-შეფასების მეთოდები, მეტი აქცენტი გააკეთონ პრაქტიკულ მუშაობაზე, რაზეც სტუდენტების ნაწილი მიუთითებს. ამავე საკითხს უკავშირდება სტუდენტებისათვის საინტერესო და შრომის ბაზრის მოთხოვნებს მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება, რომლებიც უპასუხებს 21-ე საუკუნის მოთხოვნებს.

სიტუაციური ბარიერების დასაძლევად მნიშვნელოვანია სისტემის დონეზე სტუდენტების მხარდაჭერა, მაგალითად, საერთო საცხოვრებლების უზრუნველყოფა, სასწავლებელში სასადილოს არსებობა, რომელიც მათ ერთჯერად უფასო კვებას შესთავაზებს, ანაზღაურებადი სტაჟირების სქემების განვითარება, რაც დასაქმების საჭიროებას შეამცირებს, წარმატებული სტუდენტებისთვის დამატებითი წამახალისებელი სქემების შეთავაზება, დამატებითი სქემების შეთავაზება გოგონებისთვის, რომელთაც ოჯახთან დაკავშირებული ბევრი ვალდებულება აქვთ და ა.შ.

ზოგიერთ კოლეჯში სწავლის მიტოვების მაჩვენებლები უფრო დაბალია, ვიდრე სხვებში. ეს ასახავს კოლეჯების განსხვავებულ მიდგომებს ამ საკითხთან დაკავშირებით. რეკომენდებულია წარმატებული ადგილობრივი გამოცდილების შესწავლა და გაზიარება.

კვლევაში გამოიკვეთა ბევრი საინტერესო მოსაზრება/რეკომენდაცია მიტოვების მაჩვენებლის შემცირებასთან დაკავშირებით. რეკომენდებულია, პროფესიული განათლების დაწესებულებებს ჰქონდეთ კარგად დაგეგმილი „ექსპერიმენტული ინტერვენციების“ შესაძლებლობა.

სტუდენტთა ჩარიცხვები 2022-23 სასწავლო წლის პროფესიულ პროგრამებზე

შორენა ტყეშელაშვილი

ყოველწლიურად პროფესიული სტუდენტობის მსურველთა გაზრდილი რიცხვი და პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხულთა რაოდენობა ერთი რამის მაჩვენებელია: პროფესიული განათლებით ახალგაზრდებისა და ზრდასრულების დაინტერესება იზრდება და პროფესიული განათლება სამართლიანად ხდება საინტერესო და მომხიბვლელი გზა.

ამ შედეგების უკან დგას დიდი ძალისხმევა და შრომა, დაწყებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფით, ინფრასტურქტურისა და ლაბორატორიების მოწყობით, სტუდენტზე ორინეტირებული სასწავლო პროცესის წარმართვით და კერძო სექტორის აქტიური ჩართულობით პროფესიულ განათლებაში.

პროფესიული განათლება და ეკონომიკის განვითარება ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება და თითოეული დასაქმებული სტუდენტი უკეთესი ეკონომიკის წინაპირობაა.

ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა შესასრულებელი საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, განსაკუთრებით მშობლებში, რადგან პროფესიული არჩევანის დროს მათ დიდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ შვილებზე. აუცილებელია ახალგაზრდებისათვის პროფესიული ორიენტაციის უფრო მოქნილი სერვისების შეთავაზება, რათა სწავლის შეწყვეტის მაჩვენებელი რაც შეიძლება დაბალი იყოს და ახალგაზრდები და ზრდასრულები ახერხებდნენ სწავლის დასრულებას, დიპლომის აღებას და ამის შემდგომ დასაქმებას.

2022 წელს პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაცია მაისში დაიწყო და ოქტომბერში დასრულდა, აპლიკანტთა რაოდენობა კი უპრეცედენტო იყო. გამოცხადებულ 17000 ადგილზე 24500-მდე პირი დარეგისტრირდა. პროფესიულ პროგრამებზე 13774 სტუდენტი ჩაირიცხა.

პროფესიული განათლების სისტემა მოქნილობით გამოირჩევა და ეფექტურად პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საჭიროებებს. აღსანიშნავია, რომ გაიზარდა ინტეგრირებული პროგრამების რაოდენობაც, რამაც საბაზო განათლების მქონე პირებს საშუალება მისცა, პროფესიულ განათლებასთან ერთად მიიღონ სრული ზოგადი განათლება. ამ პროგრამების დასრულების შემდეგ გაიცემა სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებული პროფესიული დიპლომი, რომელიც სტუდენტებს უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას მისცემს. გაიზარდა დუალური პროგრამების რაოდენობაც. აღნიშნული პროგრამები ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით, რაც პროფესიის რეალურ სამუშაო გარემოში დაუფლებას გულისხმობს.

2021 წლიდან პროფესიული განათლების სისტემაში ამოქმედდა ჩარიცხვის ახალი წესი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდასა და ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობას საჭიროებების გათვალისწინებით. პროფესიული განათლების მიღების მსურველებს აქვთ შესაძლებლობა, ისწავლონ უფასოდ – სახელმწიფოს დაფინანსებით. მათ შეუძლიათ შეიძინონ ის უნარები,

რომლებიც სჭირდება ქვეყნის ეკონომიკას. სახელმწიფო სრულად აფინანსებს სწავლას სახელმწიფოს მიერ და მისი მონაწილეობით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში; ასევე კერძო კოლეჯებში იმ პროფესიების შესასწავლად, რომლებიც პრიორიტეტებად არის მიჩნეული. პროფესიული განათლების მიღების უფლება აქვს ყველა დაინტერესებულ პირს, ზოგადი განათლების საბაზო (9კლასი) საფეხურის დაძლევისა და კონკრეტული პროგრამისთვის დაწესებული მიღების წინაპირობების დაკმაყოფილების საფუძველზე.

სოფლის მეურნეობების პროგრამებზე – ფერმერობა, მებოსტნეობა, რძის პროდუქტების წარმოება, მეფუტკრეობა, ხილის და ბოსტნეულის გადამუშავება, ჯამში, 868 სტუდენტმა ჩააბარა.

რამდენიმე დეტალი: მეფუტკრეობის პროგრამაზე ქვეყნის მასშტაბით ჩაირიცხა 81 სტუდენტი, მეხილეობის პროგრამაზე – 82 სტუდენტი, მევენახეობა-მეღვინეობის პროგრამაზე – 39 სტუდენტი, რძის პროდუქტების წარმოების პროგრამაზე – 14 სტუდენტი, მებოსტნეობის პროგრამაზე – 24 სტუდენტი.

წინა წლების მსგავსად, 2022 წელსაც მოთხოვნადი და პოპულარული იყო პროგრამები IT-მიმართულებით – ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა, ვებტექნოლოგია, კომპიუტერული ქსელი და სისტემები, გრაფიკული დიზანი და ა.შ. ინფორმაციის ტექნოლოგიების პროგრამებზე პირველ ეტაპზე 3734 აპლიკანტი დარეგისტრირდა.

მზარდი ინტერესი ჩანს სამედიცინო მიმართულების პროგრამებისადმი – საექთნო განათლება, საექთნო საქმე და ფარმაცია, სადაც 2939 ადამიანი დარეგისტრირდა პირველ ეტაპზე.

ერთ-ერთ მოწინავე პოზიციაზეა კულინარიის ხელოვნებისა და კონდიტერიის პროგრამა. ამ პროგრამაზე პირველ ეტაპზე 1721 აპლიკანტი დარეგისტრირდა.

პროფესიული კოლეჯები ცდილობენ, სწავლის მსურველთათვის ყველაზე მოთხოვნადი და შრომის ბაზრისთვის აქტუალური პროგრამები შეიმუშაონ. პროფესიულ პროგრამებზე პირველადი რეგისტრაციის მონაცემების მიხედვით, იკვეთება ყველაზე პოპულარული და არაპოპულარული პროფესიები, რომელთაც ახასიათებთ გარკვეული თავისებურებები. მაგალითად, აჭარის რეგიონში პროფესიულ სასწავლებლებში მოთხოვნადია ისეთი პროფესიები, რომლებიც რეგიონის შრომის ბაზრის საჭიროებას პასუხობს: გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია, საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია, გემბანის რიგითი მეზღვაური და ა.შ. აღნიშნულ პროგრამებზე პირველ ეტაპზე დარეგისტრირდა 1399 აპლიკანტი.

აჭარის რეგიონში ასევე დიდი მოთხოვნაა კულინარიის ხელოვნების პროგრამაზე, ბუღალტრულ აღრიცხვაზე, კომპიუტერული ქსელისა და სისტემების, ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროგრამებზე და სხვ.

კოლეჯში „აისი“, რომელიც კახეთის რეგიონში ფუნქციონირებს, ყველაზე მოთხოვნადი პროფესიული

პროგრამა კულინარიის ხელოვნებაა. აქ პირველ ეტაპზე 67 აპლიკანტი დარეგისტრირდა, ვეტერინარიის პროგრამაზე კი – 50. შემდეგ აპლიკანტთა რაოდენობის მიხედვით მოდის პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიები“ – 36 სარეგისტრაციო განაცხადით; მევენახეობა-მეღვინეობის პროგრამა – 23 განაცხადით. სოფლის მეურნეობის პროგრამებიდან მეფუტკრეობის პროგრამით „აისში“ 21 აპლიკანტი დაინტერესდა. მოთხოვნადია ასევე შემდეგი პროგრამები: ელექტროობა, ბუღალტრული აღრიცხვა, მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება, იატაკისა და ფილის სამუშაოები, თმისა და სილამაზის მომსახურება, სატყეო საქმე, თექის დამზადება.

თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში მოქმედ კოლეჯში „მერმისი“ წელს ყველაზე მოთხოვნადი პროგრამა კულინარიის ხელოვნება და კონდიტერია იყო. კულინარიის პროგრამაზე 200 აპლიკანტი დარეგისტრირდა, კონდიტერიაზე – 100, სამკერვალო წარმოებაზე – 94, თმის მომსახურებაზე – 72.

„გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ წელს ყველაზე პოპულარული და მოთხოვნადი პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ იყო. პირველ ეტაპზე პროგრამაზე 199 მსურველი დარეგისტრირდა. შემდეგ მოდის ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამა – 178 სარეგისტრაციო განაცხადით, მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემის პროგრამა – 138 განაცხადით, გრაფიკული დიზაინის პროგრამა – 129 განაცხადით.

საზოგადოებრივ კოლეჯში „პანაცეა“ ყველაზე მოთხოვნადი საექთნო საქმე და ფარმაცია იყო. რეგისტრაციის პირველ ეტაპზე 211 აპლიკანტმა საექთნო საქმე აირჩია, 100-მა – ფარმაცია. სულ კოლეჯში 301 სტუდენტი ჩაირიცხა სხვადასხვა მიმართულებაზე, აქედან 145 – საექთნო საქმეზე და 80 – ფარმაციაზე.

ასეთივე მაღალი მოთხოვნა იყო საექთნო საქმესა და ფარმაციაზე საზოგადოებრივ კოლეჯში „კავკასიონი“, სადაც 227 სტუდენტი ჩაირიცხა; აქედან 53 – ფარმაციაზე, 41 – საექთნო საქმეზე და 71 – სკოლამდელი აღზრდის პროგრამაზე. კოლეჯში „ბარაკონი“ პირველ ეტაპზე 111 აპლიკანტი დარეგისტრირდა საექთნო საქმეზე, ხოლო ფარმაციაზე – 77. საბოლოოდ კი საექთნო საქმეზე 47 სტუდენტი ჩაირიცხა, ფარმაციაზე – 35.

პროფესიულ პროგრამებზე პირველადი ჩარიცხვის შედეგები, პროფესიების მიხედვით, ასე გამოიყურება: IT-მიმართულებებზე ჩაირიცხა 1555 სტუდენტი; საექთნო განათლებაზე, საექთნო საქმესა და ფარმაციაზე – 1463 სტუდენტი, კულინარიის ხელოვნებასა და კონდიტერიის პროგრამაზე – 632 სტუდენტი.

რეგისტრაცია მეორედ გამოცხადდა როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებლებში: ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA-ში, ბათუმის უმაღლეს საინჟინრო სასწავლებელში „ანრი“, კოლეჯში „ბლექსი“, კოლეჯში „ახალი ტალღა“, კოლეჯში „ჰორიზონტი“, „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“, „ინტერბიზნესის აკადემიაში“, კოლეჯში „მერმისი“, „ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიაში“, „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიაში“, „თეგეტა აკადემიაში“, კოლეჯში „პრესტიჟი“, კოლეჯში „თეთნულდი“, შვეიცარიულ აგრარულ კოლეჯში და სხვა.

პირველადი და მეორადი რეგისტრაციების შემდეგ ადგილები დარჩა პროფესიული სასწავლებლების სხვადასხვა სპეციალობებზე. ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფო და კერძო პროფესიულ კოლეჯებში დარჩენილი ადგილების რაოდენობა არის 2484. სასწავლებლები, სადაც მეტი თავისუფალი ადგილი დარჩა, ასე გამოიყურება: საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში პროგრამაზე „საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია“ ვაკანტური დარჩა 19 ადგილი, „საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაზე“ (B1.1) – 59 ადგილი, საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაზე (B2) – 22 ადგილი. საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ში სულ 239 ვაკანტური ადგილი დარჩა შემდეგ პროგრამებზე: ლოგისტიკა, კომპიუტერული ქსელი და სისტემები, სკოლამდელი განათლება, საბაჟო საქმე, საექთნო საქმე, ფარმაცია. 71 თავისუფალი ადგილი დარჩა მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯში „იმედი“. კოლეჯში „იკაროსი“ 292 თავისუფალი ადგილი დარჩა პროგრამებზე: სარესტორნო მომსახურება, სასტუმრო მომსახურება, ღონისძიების ორგანიზება. თიანეთში, ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში თავისუფალი ადგილები დარჩა შემდეგ პროგრამებზე: ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება, ღონისძიების ორგანიზება, მეფუტკრეობა, თმის მომსახურება, ბუღალტრული აღრიცხვა, სატყეო საქმე და სხვა. სულ კოლეჯში 69 თავისუფალი ადგილი დარჩა.

პროგრამებზე ჩარიცხული და სწავლის მსურველი აპლიკანტების რაოდენობა, მათი ინტერესების კვლევა მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ დღეს ადამიანები აცნობიერებენ პროფესიული განათლების არსს და სასიკეთო გავლენას ცხოვრებაზე. პროფესიული განათლების მეშვეობით მათ შეიძლება მოიპოვონ კეთილდღეობა, სტაბილურობა, მოახდინონ თვითრეალიზაცია, გამოიწვიონ ცვლილებები და მიაღწიონ კარიერულ წარმატებებს.

სანდრო დიდებაშვილი

მე ვარ სანდრო დიდებაშვილი, 26 წლის. დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და მაქვს ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი. რამდენიმე წელია, გამიჩნდა ინტერესი საკუთარი ბიზნესის წამოწყების, წარმოებისა და აგრარული სფეროს მიმართ, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში დიდი პოტენციალი აქვს. დავიწყე ძიება იმ მიმართულებისა და ადგილის, სადაც ჩემთვის მეტად საინტერესო პროფესიის მაღალი ხარისხით შესწავლას შევძლებდი. არჩევანი რძის პროდუქტების ტექნოლოგიასა და შვეიცარიულ აგრარულ სკოლა „კავკასიაზე“ შევაჩერე, რომელიც დღეს საქართველოში ერთადერთი სასწავლებელია, სადაც სტუდენტებს პროფესიული განათლების მიღება დუალური სისტემითა და ევროპული სტანდარტებით შეგვიძლია, სადაც თეორიულ სწავლებასთან ერთად, მნიშვნელოვან პრაქტიკულ უნარებს ვიძენთ, თანაც მსოფლიოში წამყვანი – შვეიცარიული ხარისხით. ჩვენს კოლეჯში ორი მიმართულების – ფერმერის და რძის პროდუქტების ტექნოლოგიის შესწავლაა შესაძლებელი.

პირველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ სიხარულით შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი მოლოდინი კოლეჯთან, სწავლის ხარისხსა და აქ მყოფ ადამიანებთან მიმართებით გამართლდა. უკვე დარწმუნებული ვარ, რომ ორწლიანი სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ, მაღალი ხარისხის განათლებით, აქ შეძენილ შესანიშნავ მეგობრებთან, კოლეგებთან, ამ სფეროში არსებულ და მომავალ პროფესიონალებთან ერთად გავაგრძელებ საქმიანობას და საქართველოს სოფლის მეურნეობის, წარმოებისა და ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან წილს შევიტანთ.

ჩემი სამომავლო მიზნები ასე გამოიყურება: ერთი მხრივ, რძის პროდუქტების გადამუშავების სფეროში ინოვაციების დანერგვა, ამ მიმართულებით საკუთარი საქმის წამოწყება და განვითარება, ხოლო მეორე მხრივ, დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება დაინტერესებული ხალხისათვის, ახალი თაობებისათვის.

გერმანიის პროფესიული განათლების სისტემა

ნინო ელბაქიძე

გერმანული პროფესიული განათლების სისტემა ბევრი ქვეყნის დაკვირვების საგანს წარმოადგენს. ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ეკონომიკის მქონე გერმანიას პროფესიული განათლების სისტემაც შესაბამისად მძლავრი და მისაბაძი აქვს.

გერმანიის პროფესიული განათლება ეფუძნება სახელმწიფოსა და კომპანიებს/კერძო სექტორს შორის მჭიდრო თანამშრომლობას და ასევე სოციალური პარტნიორების ჩართულობას პროფესიული განათლების სისტემაში. განათლებისა და კვლევის ფედერალური სამინისტრო (BMBF) პასუხისმგებელია პროფესიული განათლების პოლიტიკის საკითხებზე და აქვს კოორდინატორის როლი ყველა პროფესიისთვის. ეს ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს პროფესიული განათლების ფედერალურ ინსტიტუტთან (BIBB), რომელიც სისტემატურად იკვლევს პროფესიულ განათლებას გერმანიაში და აქვს გადამწყვეტი საკონსულტაციო როლი რეგულაციების შემუშავების პროცესში. გერმანიის პროფესიული განათლების ფედერალური ინსტიტუტი ასევე ძირითადი პარტნიორია სახელმწიფოსთვის, როდესაც საქმე ეხება პროფესიული განათლების პოლიტიკის განსაზღვრას. ცალკეული მიწები (Länder) პასუხისმგებელნი არიან პროფესიული განათლების სასკოლო/საკოლეჯო სწავლების თეორიულ ნაწილზე. სოციალური პარტნიორების ჩართულობის წვლილი მნიშვნელოვანია პოლიტიკის განსაზღვრის სხვადასხვა დონეზე.[1]

სოციალური პარტნიორების წვლილი პროფესიული განათლების განვითარებაში მნიშვნელოვანია. პროფესიულმა განათლებამ უნდა უპასუხოს შრომის ბაზრის საჭიროებებს, ამიტომ დამსაქმებელთა ორგანიზაციებისა და პროფკავშირების ხმა გათვალისწინებული უნდა იყოს პროფესიული განათლების რეგულაციებში. ეროვნულ დონეზე სოციალური პარტნიორები წარმოდგენილნი არიან BIBB-ის საბჭოში (ამ საბჭოს პროფესიული განათლების პარლამენტსაც უწოდებენ) და მონაწილეობენ პროფესიული განათლების კომიტეტებში. რეგიონულ (Laender) დონეზე სავაჭრო-სამრეწველო პალატები გადამწყვეტ როლს ასრულებენ პროფესიული განათლების სფეროში, კერძოდ საკვალიფიკაციო გამოცდების მიღებასა და კვლევებში. პროფესიული სტანდარტების განახლების ან განვითარების ინიციატივა ძირითადად სწორედ სოციალური პარტნიორებისგან მოდის.



გერმანიის პროფესიული განათლების სისტემა ცნობს პროფესიული განათლების მიღების სხვადასხვა დონესა და შესაძლებლობებს და ის ამგვარად არის განაწილებული:

დუალური პროფესიული განათლება: პროფესიული განათლების ფორმა, რომელიც გულისხმობს პროფესიული სტუდენტის მიერ ორ სხვადასხვა სასწავლო გარემოს: პროფესიულ სასწავლებელსა და სასწავლო საწარმოს. ეს პროგრამები ძირითადად შეთავაზებულია EQF მე-4 დონეზე და მოიცავს 325 პროფესიას. დუალური პროგრამები გრძელდება 3 წელი და აერთიანებს, როგორც აღვნიშნეთ, ორ სასწავლო ადგილს: კომპანიასა და პროფესიულ კოლეჯს. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლის წილი, რაც გულისხმობს სტუდენტის მიერ პროფესიისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარებას, დაახლოებით 75%-ია. სასწავლო საწარმოები იღებენ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლის ხარჯებს და უხდიან პროფესიულ სტუდენტებს შესაბამის ანაზღაურებას. საკვალიფიკაციო გამოცდის მიღებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი სავაჭრო სამრეწველო პალატა. პალატების მიერ ჩატარებული დასკვნითი გამოცდა არის საფუძველი, რომ პროფესიულმა სტუდენტმა მიიღოს კვალიფიკაცია და შესაბამისი დიპლომი.

გერმანიის პროფესიული განათლების სისტემა EQF 2 დონეზე სპეციალურ პროგრამებს სთავაზობს ახალგაზრდებს, რომლებსაც აქვთ სწავლის სირთულეები, არიან გარკვეულწილად უნარშეზღუდული ან იძულებით გადაადგილებული პირები და არ აქვთ გერმანული ენის საკმარისი ცოდნა.

პროფესიული განათლების სისტემა იძლევა შესაძლებლობას, რომ მსურველებმა შეძლონ სხვადასხვა გარდამავალ პროგრამებზე დასწრება. სისტემას აქვს სპეციალიზებული პროგრამები, რომლებიც შეთავაზებულია EQF დონეზე 4-დან 5-მდე. ეს პროგრამები გრძელდება 1-დან 3 წლამდე და მათი გავლა შესაძლებლობას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა მიიღოს უნივერსიტეტში შესვლისათვის საჭირო კვალიფიკაცია.

უმაღლესი პროფესიული განათლება

პროფესიული განათლების უმაღლესი საფეხური მოიცავს პროფესიულ კვალიფიკაციას EQF 5-დან 7-მდე დონეზე. EQF მე-6 დონეზე (ბაკალავრის პროფესიონალი, მაგ., მაისტერი). კვალიფიკაცია აძლევს კურსდამთავრებულებს უფლებას, განახორციელონ ვაჭრობა, დაიქირაონ და მოამზადონ შეგირდები და ჩაირიცხონ აკადემიურ საბაკალავრო პროგრამებზე. კურსდამთავრებულებს შეუძლიათ გააგრძელონ EQF მე-7 დონე (პროფესიული განათლების მაგისტრის კვალიფიკაცია). ამ კვალიფიკაციის მიღებით კურსდამთავრებულს შეუძლია კომპანიებში საშუალო და უმაღლესი მენეჯმენტის პოზიციების მოპოვება.

პროფესიული პროგრამები, რომლებიც მხოლოდ კოლეჯში ხორციელდება

ასეთი პროგრამების ხანგრძლივობა 1-დან 3 წლამდეა, ძირითადი და წამყვანი პროფესიები მოიცავს ჯანდაცვის სექტორს (მაგალითად, მედდა). პროფესიები, რომლებიც უკავშირდება ადამიანის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს, ისწავლება კოლეჯის ბაზაზე. პრაქტიკული მეცადინეობა მიმდინარეობს სიმულაციურ გარემოში; მაგალითად, მედდის შემთხვევაში გამოიყენება მულაჟები.

უწყვეტი პროფესიული განათლება

უწყვეტი პროფესიული სწავლება სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს დასაქმების უნარის გაუმჯობესებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში. კვალიფიკაციის ამაღლება ძირითადად უკავშირდება ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას და ეკოლოგიურ, კლიმატურ ცვლილებებს, რომლებიც აისახება პროფესიების ყოველდღიურობაში. უწყვეტი პროფესიული განათლების მიმართულებები ხასიათდება მრავალფეროვნებით, სხვადასხვა ტრენინგის პროვაიდერი სთავაზობს მსურველებს პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს. ამ მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების ხარისხი დაბალია.

გერმანიის პროფესიული განათლების სისტემის წარმატების ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი არის ახალგაზრდების უმუშევრობის დაბალი პროცენტი. 2019 წელს ახალგაზრდობის უმუშევრობის დონე იყო 5.8% 15-დან 24 წლამდე ასაკის ახალგაზრდებში (შედარებისათვის – ევროკავშირის 27 ქვეყნის მაჩვენებელია 15,1%). საშუალო სკოლის მოსწავლეთა დაახლოებით 50% ირიცხება პროფესიული განათლების პროგრამებზე. აქედან 70% ჩართულია დუალური, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმაში.

მაგალითები

მიუხედავად მსოფლიოში აღიარებული უმაღლესი სტანდარტისა, გერმანიის პროფესიული განათლების სისტემას თავისი გამოწვევები აქვს. სისტემის მუდმივი კვლევა, დაკვირვება და ანალიზი საშუალებას აძლევს გერმანიის მთავრობას, ცხადად დაინახოს გამოწვევები, დროულად მოახდინოს რეაგირება მათზე, შეინარჩუნოს უმაღლესი სტანდარტები და მუდმივად გაუმჯობესოს ისინი.

პროფესიული განათლების მიმზიდველობის გაზრდა ახალგაზრ-

დებისთვის გერმანიაშიც ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. არის პროფესიები, რომელთაც სიამოვნებით ეუფლებიან ახალგაზრდები, თუმცა მოვლისა და სამედიცინო მიმართულებებით (მაგალითად, საექთნო განათლება) ახალგაზრდების დაინტერესება დაბალია და სისტემას მუდმივად ესაჭიროება ახალგაზრდების მოტივაციის გამოწვევა ამ პროფესიების დასაუფლებლად. სასკოლო/საკოლეჯო განათლებაზე დაფუძნებული პროფესიული განათლება, სადაც პროფესიული სტუდენტები განათლებას სასწავლებლის ბაზაზე იღებენ და შესაბამისად, არ აქვთ შემოსავალი სასწავლო საწარმოდან, ასევე გამოწვევაა სისტემისათვის, რადგან ამგვარი პროფესიებით დაინტერესება დაბალია. ახალგაზრდებს ურჩევნიათ, ისეთი პროფესიები აირჩიონ, რომელთა მეშვეობით პირველივე დღიდან ანაზღაურებად განათლებას მიიღებენ სასწავლო საწარმოში.

პროფესიული განათლების მოდერნიზაცია ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვისა და ეკოლოგიური ცვლილებების გათვალისწინებით ასევე დასახელებულია, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა გერმანიის პროფესიული განათლების სისტემისათვის. ინდუსტრიალიზაციამ 4.0.[2] და მასთან დაკავშირებულმა ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა გამოიწვია ცვლილებების შეტანა პროფესიულ სტანდარტებში და შესაბამისად, კომპეტენციების გაზრდის საჭიროება როგორც პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე იმ მასწავლებლებისათვის, რომლებიც პროფესიულ სტუდენტებთან მუშაობენ.

პროფესიული განათლებისგან განსხვავებით, რომლის დაფინანსება რეგულირებულია სახელმწიფოს დონეზე, პროფესიული განვითარების ღონისძიებები ზრდასრულებისა და პროფესიაში უკვე მყოფი ადამიანებისათვის უფასო არ არის. სახელმწიფო საკუთარ გამოწვევად თვლის იმას, რომ ყველა ადამიანს თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი ტექნოლოგიური ცვლილებებით განპირობებული კომპეტენციების ათვისებაზე.

2022 წელს გერმანიის პროფესიული განათლების სისტემა ერთ-ერთ გამოწვევად ასახელებს ასევე პანდემიის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

რა ფაქტორები ახდენს გავლენას გერმანული პროფესიული განათლების სისტემაზე

ისევე, როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში, გერმანიაში მოსახლეობის საშუალო ასაკი წლების მანძილზე იზრდება. წინამდებარე გრაფიკულ გამოსახულებაზე ჩანს, რომ საზოგადოების ასაკის მატების მაჩვენებლები მზარდია. ახალგაზრდების შემცირება, ბუნებრივია, იწვევს სამუშაო ძალის დეფიციტს, რაც შესაბამისად აისახება პროფესიული განათლების სისტემაზე.

გერმანიაში მცირე და საშუალო ბიზნესების ჩართულობა პროფესიული განათლების სისტემაში არაპროპორციულია. მაგალითად, 2019 წელს პროფესიულ განათლებაში ჩართული ბიზნესების 68% მოდიოდა მცირე და საშუალო საწარმოებზე. ეს არის 2.6 მილიონი მცირე და საშუალო ბიზნესი. მცირე ბიზნესში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა განისაზღვრება 1-დან 9 თანამშრომლით, ხოლო საშუალო ბიზნესში დაახლოებით 10-დან 249-მდე ადამიანია დასაქმებული. საერთო რაოდენობიდან ძირითადი წილი მოდის მცირე ბიზნესზე, რადგან საშუალო ბიზნესის მხოლოდ 29% იყო ჩართული პროფესიულ განათლებაში.

ორივე სახის - როგორც საშუალო, ისევე მცირე საწარმოები გერმანიაში ქმნიან ძლიერ საშუალო ფენას, რომელსაც აქვს შემოსავალი და ცხოვრობს ცხოვრების მაღალი სტანდარტით. მცირე, საშუალო და დიდი კომპანიების გამოცდილებაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მცირე საწარმოების ჩართულობა ოდნავ იკლებს პროფესიულ განათლებაში, საშუალო და დიდი კომპანიების რიცხვი კი იმატებს.

დიაგრამა: პროგნოზი მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფისა და ხანდაზმულობის კოეფიციენტის მიხედვით. წყარო: CEDFOP



გერმანული პროფესიული განათლების სისტემა რეგულარულად ადევნებს თვალს შრომის ბაზრის სულ მცირე ცვლილებებსაც კი. პროფესიულ განათლებაში არსებული პროფესიების აბსოლუტური უმრავლესობა რეგულირებადი კვალიფიკაციებია, რაც იმას ნიშნავს, რომ კონკრეტული სამუშაო ადგილის დასაკავებლად ადამიანს ესაჭიროება შესაბამისი დიპლომი ან სერტიფიკატი, რომელსაც პროფესიული განათლების დასრულების შემდეგ იღებს. პროფესიული განათლებისა და შრომის ბაზრის ამგვარი თანამშრომლობის შედეგია ის, რომ გერმანიაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ევროკავშირის ქვეყნებს შორის ახალგაზრდების უმუშევრობისა. 2020 წლისათვის ის შეადგენდა 3,4 %-ს. პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი ასევე ერთ-ერთი უმაღლესია ევროკავშირში. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდებოდა, 2016 წლიდან 2019 წლამდე 90.1%-დან 93.4%-მდე გაიზარდა, მაგრამ პანდემიის გამო ეს მაჩვენებელი 2020 წელს 92.2% -მდე შემცირდა.[3]

პროფესიული განათლების სისტემის მართვა გერმანიაში

სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქისთვის განათლებაზე ხელმისაწვდომობა გარანტირებულია ქვეყნის კონსტიტუციით და ის გერმანიის ყველა მიწაზე (Bundesland) ვრცელდება. პროფესიული განათლების მართვა და კოორდინაცია რეგულირდება კანონით პროფესიული განათლების შესახებ და ის, პირველ რიგში, მოიაზრებს კერძო სექტორის, სოციალური პარტნიორებისა და სახელმწიფოს მჭიდრო თანამშრომლობას. კანონი პროფესიული განათლების შესახებ ასევე დეტალურად განიხილავს პროფესიული პროგრამების მომზადების, პროფესიული გადამზადების, მონიტორინგისა და განვითარების საკითხებს. პროფესიული განათლების შესახებ კანონის მთავარი მიზანია, რომ ხელი შეუწყოს მსწავლელს, რათა მუდმივად ცვალებად შრომის ბაზარზე მან შეძლოს კვალიფიცურ კადრად ჩამოყალიბება სტრუქტურირებული საგანმანათლებლო პროგრამის მეშვეობით.[4]

გერმანიის მიწები (Bundeslaender) პროფესიული განათლების სისტემის მოწყობას უქვემდებარებენ ძირითად კანონს პროფესიული განათლების შესახებ. მიწები თავად არიან პასუხისმგებელი პროფესიული განათლების მიმდინარეობასა და ხარისხზე. გერმანიის მიწები პროფესიული განათლების სისტემის კუთხით მოქმედებენ ადგილობრივი შრომის ბაზრის დაკვეთის შესაბამისად, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი სასკოლო და პრაქტიკის სისტემა სპეციფიკური და ინდივიდუალურია. თითოეულ მიწას აქვს პროფესიული განათლების საკუთარი კომიტეტი, რომელიც შედგება თანაბარუფლებიანი წარმომადგენელებისაგან: დამსაქმებლები, დასაქმებულები და სახელმწიფო ავტორიტეტები. იმისათვის, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით პროფესიული განათლების შესახებ გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი იყოს, ყველა მიწის შესაბამისი სამინისტროების წარმომადგენლები ერთიანდებიან

მუდმივმოქმედ განათლებისა და კულტურის ფედერალურ კომისიაში (Kultusminster Konferenz), რომლის მიზანია მთელი ქვეყნის მასშტაბით განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, გამოცდილების გაზიარება და კოორდინაცია.[5]

დუალური განათლების სისტემის წარმართვაში და შესაბამისად, პროფესიული განათლების სისტემის განვითარებაში სავაჭრო სამრეწველო პალატები შეუცვლელი პარტნიორები არიან. პროფესიული სტუდენტი, პირველ რიგში, პრაქტიკის შესწავლის ადგილს პოულობს და ხელშეკრულებას აფორმებს სასწავლო საწარმოსთან და შემდეგ იწყებს სწავლას შესაბამის პროფესიულ კოლეჯში, სადაც პროფესიასთან დაკავშირებულ თეორიულ განათლებას იძენს. სასწავლო საწარმოებისა და პრაქტიკული განათლების კოორდინაციას, სწავლების პროცესის მონიტორინგს სწორედ სავაჭრო სამრეწველო პალატები ახორციელებენ. ისინი არიან ასევე შუალედურ და საკვალიფიკაციო გამოცდებზე პასუხისმგებლები და ანიჭებენ კვალიფიკაციას კურსდამთავრებულებს.

გერმანიის პროფესიული განათლების სისტემაში განსაკუთრებული როლი ენიჭება სოციალური პარტნიორების ჩართულობას. დუალური განათლების სისტემა ეფუძნება დამსაქმებლების, პროფესიული კავშირებისა და მთავრობის თანამშრომლობას. იმისათვის, რომ სახელმწიფოს მიერ გატარებულ რეფორმებს ჰქონდეს დასაქმებულთა და დამსაქმებელთა მხარდაჭერა, სოციალური დიალოგი სახელმწიფო პოლიტიკისთვის აუცილებელია. დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ პროფესიული განათლების სისტემაზე. ერთი მხრივ, დამსაქმებელი იძლევა დაკვეთას, როგორი კვალიფიკაციის კადრი ესაჭიროება მას, ხოლო, მეორე მხრივ, პროფესიული კავშირები უზრუნველყოფენ დასაქმებულთა უფლებების დაცვას სამუშაო გარემოში. ორივე მხარის წარმომადგენლები ადგილს იკავებენ პროფესიული განათლების ფედერალურ ინსტიტუტში, რათა მათი ინტერესები გამოხატული და დაცული იქნას სახელმწიფო დონეზე. გერმანიაში სოციალური პარტნიორები მთავარი ძალაა ცვლილებებისთვის. სოციალური პარტნიორების პასუხისმგებლობაა, რომ მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნები აისახოს შესაბამის სტანდარტებში. შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი სტუდენტის განვითარება მოითხოვს სტანდარტების სისტემატურ ცვლილებებსა და განვითარებას. სოციალური პარტნიორები ჩართულები არიან პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში, სადაც ყველაზე ინტენსიურად ხდება ამ ცვლილებების ასახვა და საჭიროებებზე მორგება. სახელმწიფო ქმნის საფუძველს და პლატფორმას პროფესიული განათლების ფედერალური ინსტიტუტის სახით, რათა სოციალური დიალოგი მუდმივმოქმედ რეჟიმში იყოს ჩართული.

პროფესიული განათლების ფედერალური ინსტიტუტის (BIBB) საქმიანობა კანონით უზრუნველყოფილია.[6] ინსტიტუტი უშუალოდ ექვემდებარება გერმანიის მთავრობას. მისი მოვალეობაა, მეცნიერულად იკვლიოს და ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების სისტემის განვითარებას ქვეყანაში.[7] საკვლევი თემები შეთანხმებული უნდა იყოს განათლებისა და კულტურის მუდმივმოქმედ კომისიასთან. პროფესიული განათლების ფედერალური ინსტიტუტი შეიმუშავებს რეკომენდაციებს მთავრობისათვის, ასევე ინიცირებას უკეთებს კანონში შესატან ცვლილებებს. პროფესიული განათლების ფედერალური ინსტიტუტის ერთ-ერთი საპატიო მოვალეობაა სხვა ქვეყნებთან კოლაბორაცია, განსაკუთრებით იმ ქვეყნებთან, რომლებიც დუალური პროფესიული განათლების მოდელის დანერგვასა და გერმანული გამოცდილების შესწავლას ცდილობენ.

შენიშვნები:

1 Vocational education and training in Europe, Germany, System description, CEDEFOP 2022. https://www.cedefop.europa.eu/en/tools/vet-in-europe/systems/germany-u2

2 მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია: https://www.forbes.com/sites/bernardmarr/2018/09/02/what-is-industry-4-0-heres-a-super-easy-explanation-for-anyone/?sh=2b05cb209788

3 მონაცემები ეყრდნობა CEDEFOP-ის მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციას: Vocational education and training in Europe Germany. System description 2021.

4 გერმანიის კანონი პროფესიული განათლების შესახებ: https://www.gesetze-im-internet.de/bbig_2005/BJNR093110005.html#BJNR093110005BJNG000101128

5 განათლებისა და კულტურის სამინისტროების მუდმივმოქმედი კომისიის შესახებ. მიზნები და ამოცანები https://www.kmk.org/kmk/aufgaben.html

6 გერმანიის კანონი პროფესიული განათლების შესახებ: https://www.gesetze-im-internet.de/bbig_2005/BJNR093110005.html#BJNR093110005BJNG002901128 § 89 Bundesinstitut für Berufsbildung

7 https://www.bibb.de/en/461.php

თამარ მენთეშაშვილი

2022 წელს „ინფორმაციის ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი გავხდი. ამ სფეროთი დიდი ხნის წინ დავინტერესდი, თუმცა გარკვეული პრობლემების გამო ვერ შევძელი სწავლის გაგრძელება. „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის“ შესახებ ინტერნეტის მეშვეობით შევიტყვე და რეგისტრაცია გავიარე მოკლევადიან მომზადების პროგრამაზე – „სისტემური ადმინისტრირება“. ჩემი მოლოდინი სრულად გამართლდა, კოლეჯში დამხვდა მეგობრული გუნდი და სასიამოვნო სასწავლო გარემო. მოკლევადიანი მომზადების პროგრამის დასრულების შემდეგ გადავწყვიტე ბავშვობის ოცნების ასრულება და 40 წლის ასაკში ჩავაბარე „ინფორმაციის ტექნოლოგიების“ სადიპლომო პროგრამაზე. ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიამ შანსი მომცა, სასურველი პროფესია პროფესიონალურ დონეზე შევისწავლო და დავსაქმდე მოკლე დროში.

ჩემი გეგმები პროფესიულ განათლებაში პროგრამის დასრულებით არ მთავრდება. ვინაიდან მხოლოდ საბაზო განათლების ატესტატი მაქვს, ვგეგმავ, ვებტექნოლოგიების ინტეგრირებულ პროგრამაზე გავაგრძელო სწავლა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულების კიდევ ერთი პროფესიის შეძენასთან ერთად, სრულ ზოგად განათლებასთან გათანაბრებულ ატესტატსაც ავიღებ.

მე 3 შვილის დედა ვარ. ჩემი სურვილია, რომ ჩემმა შვილებმაც სცადონ ბედი და ჩააბარონ პროფესიულ კოლეჯში. ვფიქრობ, ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია დაინტერესებულ პირებს აძლევს პიროვნული და პროფესიული განვითარების საშუალებას. ეს არის შანსი, რომელიც ყველამ უნდა გამოიყენოს.

სილამაზისა და ესთეტიკის სპეციალისტთა განვითარება

ქალბატონო ნინო, დღეისათვის პროფესიული განათლება რომელ პროფესიებს სთავაზობს მსურველებს სილამაზისა და ესთეტიკის მიმართულებით და რამდენად დასაქმებადია ეს პროფესიები შრომის ბაზარზე?

დღეისათვის პროფესიული განათლება სილამაზისა და ესთეტიკის მიმართულებით დაინტერესებულ პირებს სწავლას სთავაზობს ოთხი მიმართულებით: კოსმეტოლოგი, ვიზაჟისტი, თმის სპეციალისტი და ფრჩხილის სპეციალისტი. კვლევებმა გამოავლინა, რომ სწორედ აღნიშნული პროფესიებია შრომის ბაზარზე ყველაზე მოთხოვნადი და ამავე დროს მაღალანაზღაურებადი. შრომის ბაზრის ანალიზი და ვაკანსიათა რაოდენობა ამ მიმართულებით კარგად ასახავს კვალიფიციურ სპეციალისტთა დეფიციტს.

ხარისხიანი მომსახურება და ხარისხიანი მასალების მოპოვება, რომლებიც შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს, არცთუ ისე ადვილია. თქვენი აზრით, უნდა იყოს თუ არა რეგულირებული სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული წესები? რა უნდა იცოდეს მომხმარებელმა პირველ რიგში?

ხარისხიანი მომსახურების დეფიციტი მართლაც არის, სამწუხაროდ. ეს გამოიწვია არაფორმალურმა განათლებამ, მაგრამ დღეს, როცა უკვე გაჩნდა საშუალება, რომ ეს პროფესიები ისწავლებოდეს კოლეჯებში, მომსახურების ხარისხიც იცვლება. აღსანიშნავია ისიც, რომ მომხმარებელი მეტად ინფორმირებულია მომსახურების ხარისხისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით, ვიდრე თუნდაც რამდენიმე წლის წინ. თვითონ ითხოვს უკვე მომსახურების მაღალ დონეს. პროფესიული განათლება კი სწორედ მაღალი ხარისხისა და უსაფრთხო მომსახურების შესწავლის შესაძლებლობას იძლევა.

რაც შეეხება ევროპული სტანდარტების შესაბამის, ხარისხიან საშუალებებს, მათი მოპოვება არაა რთული, რადგან ბაზარზე გვყავს რამდენიმე კომპანია, რომელთაც მაღალი ხარისხის პროდუქცია შემოაქვთ. პრობლემა აქ სხვა, არასალონური ხარისხის პროდუქციის დაბალი ფასებია. სილამაზის სალონების ბიზნესს როცა არაპროფესიონალები მართავენ და არ აქვთ მიღებული შესაბამისი განათლება, მათ არც ხარისხისა და უსაფრთხოების ამბიცია აქვთ. სწორედ აქ ვხედავ სახელმწიფოს მონაწილეობის აუცილებლობას. სილამაზის სალონის გახსნის ნებართვა არ უნდა იყოს ადვილი მოსაპოვებელი – გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს, ზუტად იყოს გაწერილი ბიზნეს-გეგმა. გაუთვითცნობიერებელ დამსაქმებელთა მხრიდან პრობლემის წინაშე დგება როგორც ბიზნესი, ასევე დასაქმებული და განსაკუთრებით სამწუხაროა, თუ ეს პრობლემა პროფესიულ კურსდამთავრებულს ეხება. იმედი მაქვს, რომ ახლად შექმნილი დარგობრივი უნარების ორგანიზაცია, ჯანდაცვასთან ერთად, შეძლებს ამ საკითხების დარეგულირებას ევროპული სტანდარტის შესაბამისად.

ისევ ხარისხიან პროდუქციას დავუბრუნდები, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო ერთჯერადი შედეგის მისაღებად, არამედ ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვისაც კი.

მომხმარებელი აუცილებლად უნდა იყოს ინფორმირებული, რომ სულ

უბრალო, ჩვეულებრივ მანიპულაციასაც კი, როგორიც თავის დაბანაა, შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს მის ჯანმრთელობას. გამოსაყენებელი პროდუქცია აუცილებელია, შეირჩეს კონკრეტული მომხმარებლის ანამნეზის მიხედვით, რაც მხოლოდ სპეციალისტს უნდა ანდოთ. არასწორად შერჩეულმა თმის მოვლის საშუალებებმა შესაძლოა გამოიწვიოს თმის ცვენა, სებორეა, ალერგია, კანის სოკოვანი დაავადებები.

საერთაშორისო კვლევებმა, რომლებიც ქალთა შორის ჩატარდა, გვაჩვენა, რომ კონკრეტული ნივთიერებები გაიწოვება კანიდან და ეს უამრავი დაავადების გამომწვევი მიზეზი შეიძლება გახდეს, მათ შორის სიმსივნის. კანი ბუნებრივად იფარება ცხიმით, რომელსაც ცხიმის ჯირკვალი გამოყოფს და ამას აქვს დამცავი ფუნქცია. ხშირი დაბანის შემთხვევაში კი იგი დაუცველი ხდება, ზედმეტად შრება და იწყებს აქერცვლას.

განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო მარკეტინგული ხრიკებით „შეფუთული“ პროდუქტები: „თმის ბიო-დახვევა“ და „კერატინით გასწორება“. ამ დროს ისეთ საშუალებებს იყენებენ, რომლებშიც ფორმალინი ან სხვა ძლიერი ქიმიური ნივთიერებები შედის. მათი გამოყენება კი სახიფათოა როგორც მომხმარებლის, ასევე სპეციალისტისა და სხვა გარშემომყოფთათვის.

ნებისმიერი პროდუქტი აუცილებელია, გამოვიყენოთ მხოლოდ დანიშნულების შესაბამისად და თანდართული გამოყენების წესით. ყურადღებით გავეცნოთ პროდუქციაში შემავალ ქიმიურ და ბუნებრივ ნივთიერებებს, ვენდოთ მხოლოდ გამოცდილ ლაბორატორიებსა და გამოცდილ სპეციალისტებს. კარგად დააკვირდით გარემოს, სადაც გიწევენ მომსახურებას – რამდენადაა

დაცული სტანდარტები, ინახავენ თუ არა გამოსაყენებელ ინსტრუმენტებს, ხელსაწყოებსა და აქსესუარებს სტერილურად და დახურულ უჯრებში.

ყურადღებით შეარჩიეთ შესაღები საშუალებები და აუცილებლად გაიკეთეთ ტესტი ალერგიაზე. მოითხოვეთ, რომ სპეციალიტმა გამოსაყენებელი პროდუქტი გახსნას თქვენი თანდასწრებით. საღებავებში შემავალი პიგმენტი, რომელიც ფერს განსაზღვრავს, არის როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური. სწორედ ეს განსაზღვრავს პროდუქტის ფასს. ხელოვნური პიგმენტები ძირითადად გამოიყენება დაბალხარისხიან საღებავებში.

ყურადღებით მოეკიდეთ კვებას და ჯანსაღი ცხოვრების წესს, სრულფასოვან ძილს. ერიდეთ სტრესულ გარემოს და გახსოვდეთ, ეს ყოველივე აისახება თქვენს კანსა და თმაზე.

არ შემიძლია არ შევეხო პროდუქციას, რომელსაც პროფესიულ სწავლებაში ვიყენებთ. კოლეჯი შესყიდვებს ახორციელებს ტენდერით, ტენდერში კი სახელმწიფო შესყიდვებს არაფერი აქვს გაწერილი ხარისხის შესაბამისობის დოკუმენტზე; არ არსებობს სამსახური, სადაც ამ პროდუქტის უსაფრთხოება შემოწმდება, დამატებითი ტრენინგი, რომელიც გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა ჩაატაროს პროდუქციის გაცნობის მიზნით და ა.შ.

ჩვენ, „ისი პარის“ სილამაზის ცენტრი – სალონების ქსელი არ ვართ. მხოლოდ ერთი სალონი გვაქვს, რომელიც ევროპული სტანდარტების შესაბამისად გაიხსნა 25 წლის წინ. ჩვენ ვიყავით პირველები ამ მიმართულებით: მომსახურების მაღალი სტანდარტი და საუკეთესო ფრანგული პროდუქცია. აღსანიშნავია, რომ ასეთ გარემოში მუშაობა

სასიამოვნოცაა და უსაფრთხოც. ასევე მინდა, მადლიერება გამოვხატო კომპანიის მიმართ პროფესიული განათლების ხელშეწყობისათვის – ყოველწლიურად 1-2 კურსდამთავრებულს ვიღებთ დამხმარე სტილისტის პოზიციაზე, რაც ძალიან ეხმარება მათ პროფესიულ განვითარებასა და დასაქმებაში.

პროფესიული განათლების მიღების მსურველებს რას ურჩევდით?

პროფესიული განათლების მიღების მსურველებს ვურჩევდი, პირველ რიგში, მაქსიმალურად გამოიყენონ პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა. კარგად დაფიქრდნენ პროფესიის არჩევისას – რა მოსწონთ, რა გამოსდით, რას გააკეთებდნენ სიყვარულით, რადგან პროფესიული წარმატება მოაქვს სწორედ პროფესიის სიყვარულს, რომლითაც შეძლებთ ნებისმიერ გამოწვევასთან გამკლავებას.

კოლეჯთან დაკავშირებით მაქვს ძალიან კარგი მოლოდინი. ვფიქრობ, რომ იქნება ჩვენზე მორგებული, ხალისიანი და ხარისხიანი სასწავლო პროგრამა. „კონსტრუქტ2“-ში ჩაბარება მშობლის რჩევით გადავწყვიტე. როდესაც სახლში საუბრობდნენ „კონსტრუქტ2“-ის შესახებ, დამაინტერესა და შევედი კოლეჯის ვებგვერდზე, გადავხედე პროგრამას და კმაყოფილი დავრჩი მიღებული ინფორმაციით. ცოტა ხანში კი გადავწყვიტე, შემევსო განაცხადი, წარმატებით გავიარე გასაუბრება და ჩავირიცხე კოლეჯში. მიმაჩნია, რომ მეტი ცოდნა ტექნოლოგიების შესახებ უფრო დაგვეხმარება და გამოგვადგება შემდგომი დასაქმებისთვის.

მიზანი მაქვს, რომ გავყვე არჩეულ პროფესიას და შევქმნა ჩემი კომპანია. კოლეჯში მიმდინარე პროცესები ძალიან მომწონს, ასევე ლექტორები, რომლებიც ჩვენი განათლებისთვის ძალიან ბევრ რამეს აკეთებენ. გამოვარჩევდი კოლეჯის სასწავლო პროცესების მართვის თანამშრომელს, რომელიც არ ზოგავს ენერგიას იმისთვის, რომ სტუდენტებმა ხარისხიანი განათლება მიიღონ.

რეკომენდაციები პროფესიის არჩევისთვის:

3 ნაბიჯი

სწორი არჩევანისთვის

1. თვითშეფასება და ანალიზი

პროფესიის შესახებ პირველი სურვილები უკვე სასკოლო ასაკიდანვე ყალიბდება. თუ შენ ჯერ სკოლის მოსწავლე ხარ, სასურველია, უკვე დაიწყო საყვარელი საქმისა და პროფესიის ძიება. დაფიქრდი, რა არის შენი სიძლიერე/სისუსტე, რომელი სფერო და სიტუაციებია შენთვის განსაკუთრებით მიმზიდველი ან პირიქით. მოდი, გავაანალიზოთ, რა გიბიძგებს არჩევანისკენ: მოგწონს/გიყვარს ამ კონკრეტული საქმის კეთება; ამ საქმის კეთებიდან გექნება შემოსავალი; ეს პროფესია მოდაშია/პრესტიჟულია; ამ პროფესიის შესწავლას გაძალებენ ოჯახის წევრები; ამ მახასიათებლებიდან დაივიწყე ყველა, გარდა ერთისა და კონცენტრირდი მთავარზე: რომელი საქმეა, რომელიც „შენია“, გიზიდავს, გეძახის და მისი შესწავლა დიდ კმაყოფილებასა და სიამოვნებას მოგიტანს. „შენი პროფესია“ მოძებნე. როდესაც აღმოაჩენ პროფესიას, რომლის შესწავლაც გაინტერესებს, უნდა იცოდე რომ შენს არჩევანს წინ ჯერ კიდევ ელის გამოცდა.

2. პროფესიის „მოსინჯვა“

შერჩევის შემდეგ აუცილებელია, რომ ამ კონკრეტული პროფესიის რეალური შესაძლებლობების შესახებ მიიღო ინფორმაცია. დასაქმებისა და პროფესიული განვითარების რა შანსები გაქვს – ეს ნიშნავს, არის თუ არა მოთხოვნადი შენს მიერ არჩეული და მოწონებული პროფესია შრომის ბაზარზე; რა შემოსავალი არის შესაძლებელი, რომ გქონდეს დასაქმების პირველ ეტაპზე და შენს მიერ არჩეული პროფესიის კარიერული წინსვლისა რა შესაძლებლობები არსებობს პრაქტიკულად. პროფესიის მოსინჯვა ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა სწორი არჩევანის გასაკეთებლად: მოიძიე სტაჟიორის, ასისტენტის, დამხმარის პოზიცია შენს მიერ შერჩეულ პროფესიაში. დააკვირდი და გამოცადე საკუთარ თავზე, რას ნიშნავს იმ სფეროში მუშაობა, სადაც სამომავლოდ აპირებ პროფესიით დასაქმებას. ნახე, როგორი შენი საყვარელი პროფესია პრაქტიკაში. თუნდაც ცოტა ხნით, თუნდაც ანაზღაურების გარეშე, მოსინჯე პროფესია.

3. სწავლის ადგილი

მესამე ეტაპზე მოიძიე ის სასწავლებელი, სადაც უნდა ისწავლო შენი პროფესია. სასწავლო გარემოს, ინფრასტრუქტურას, მასწავლებლებს, პრაქტიკული სწავლების ადგილებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ სწავლის პროცესი სასიამოვნო და მამოტივირებელი იყოს. დღევანდელი კოლეჯების ინფრასტრუქტურა და სასწავლო ლაბორატორიები უმაღლესი ხარისხისაა. ამის გარდა კოლეჯებში სწავლა ხორციელება კერძო სექტორთან თანამშრომლობით, რაც იმას ნიშნავს, რომ სწავლის პერიოდში საშუალება გექნება, რომ ბიზნესშიც შედგა პირველი ნაბიჯები და გაიცნო წარმატებული კომპანიების „შიდა სამზარეულოს“ ნიუანსები. შექმენი წინასწარ განწყობა იმისათვის, რომ მიგიხაროდეს იქ, სადაც შენს პროფესიას შეისწავლი.

შრომა. არცერთი წარმატება არ მიიღწევა ბევრი შრომის გარეშე. პროფესიონალს თავად ეძებს შრომის ბაზარი. თუ გინდა, რომ იყო მოთხოვნადი კადრი, არასოდეს შეწყვიტო განვითარება და სწავლა. სანამ წინა სამ ნაბიჯს არ გაივლი, იცოდეს რომ არ ხარ მზად იმისათვის, რომ დაიწყო სწავლა. დაიწყე დღესვე. გადაშალე კატალოგი, სადაც 200ზე მეტი პროფესია ელოდება დაინტერესებულ ახალგაზრდას. შეარჩიე, გაანალიზე, მოსინჯე, ისწავლე, იყავი წარმატებული!

სასარგებლო ინტერნეტ რესურსები პროფესიებისა და პროფესიული განათლების შესახებ იხილეთ ჟურნალის მეორე გვერდზე

ჟურნალის მეშვიდე ნომერი მთლიანად მიეძღვნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ჩამოტვირთე, გაეცანი და იფიქრე რომელ კოლეჯში ისურვებდი სწავლას.

საქართველოს
განათლებისა და
მეცნიერების
სამინისტრო

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC

UNDP